

Годъ издания III-й

Оქთა კულტური

ГОРОДЪ

И ЗЕМСТВО

ვათ 600 000 50 000

Цѣна номера 50.

№ 7

თბილისი
ТИФЛИС

15 მაი 1920

საქათგელოს რესპუბ. ქალაქთა გავშირის

მისამართი ელის მოწერა 1920 წლის 20-ის.

უკველ-თვიური უურნალი

ერთ გრძელი გადახატი მე-3.

12 № ელისადა.

და ქალაქთა კავშირის გადახატი

(ყოფილი უურნალი „კავშირის ქალაქი“).

ორგანო ერთგათა და ქალაქთა კავშირისა.

გამოდის ქართულ და რუსულ განყოფილებით.

რედაქტორები: ა. ს. ბრინჯავისა და ლ. ი. ნათაძე.

ხელისმოწერის პირობანი:

ერთი წლით	500 მან.
ნახევარი წლით	275 "
სამი თვეთ	140 "
ცალკე მომერი	30 "

განცხადების ფასი:

პეტიტი სტრიქ. ტექ. წილ 15 მ.

ვინც „ჰალაქა“ და ერთ. მმართვე-

ლობები ასევე ეფენდი, მთ გადა-

ხდებათ მანევრი.

უურნალი მისნათ ისახავს ჰუგილობ. მართველ. თეორიულ და პრატიკუ. საითხმების ყოველ
მხრივს გარკვევა-გამუშებას, მის იდენტის გამოტკიცებას და გაფრთოებას.
უურნალში მისაცემულ წერტილში სკიოთების ცირკულაცია გარკვეული: ქალაქის და
ერთობის ორგანიზაცია, ფინანსები, წარმოების მუნიციპალიტაცია, მუნიციპალური უფლება,
მედიცინა, სანიტარია, სახალხო განათლება, გზები, უფასების საქმე; სტატისტიკა და სხ.

ინდუსტრია კორსპონდენციები ადგილებით, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, საცალდებულო

დაგდგნილებანი.

რედაქტი და კანტორა მდებარება: თბილისი, პუშკინის ქუჩა,
№ 3 ქალაქთა კავშირის ზინა.

ფელეფონი 1-78.

СОЮЗЪ ГОРОДОВЪ

РЕСПУБЛИКИ ГРУЗИИ

сия объявляется, что Министерствомъ Финансовъ, Торговли и Промышленности Республики Грузия разрешено Союзу Городовъ ПРИНИМАТЬ на свои склады следующие изъ заграницы товары съ СОХРАНЕНИЕМЪ ДЛЯ НИХЪ ПРАВА ТРАНЗИТА безъ особыго разрѣшения на вывозъ изъ предѣловъ Республики.

Съ заявлениями о принятии товаровъ въ транзитный складъ Союза Городовъ и за всѣмъ справками по данному вопросу надлежит обращаться:

въ Тифлисъ—въ Коммѣрческій Отдѣлъ Союза Городовъ

Гоголевская ул. 51, тел. 11-54,

въ Батумъ—къ агенту Союза Городовъ С. Г. Спектору—

Смѣкаловская, 13, кв. Вардзелова,

въ Поти—временно къ Н. Глонти, Продовольственныи Отдѣлъ Городской Управы.

ირთხვა და ქალაქი

— 16856 —


ეროვნული და კულტურული მუზეუმის მიერაცხვა

კულტურული გამოცემა მუნიციპალურ კითხების შესხვები

ГОРОДЪ И ЗЕМСТВО

Органъ Союзовъ Городовъ и Земствъ Республики
Грузіи.

Ежемѣсячное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.



№ 7

თბილისი
თბილისი

15 მაისი 1920 წ.



ЧУБОВАНОСТЬ:

ДАЧИЩА:

230

ч. 78— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	230
ч. 80— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	1—5
ч. 81— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	6—12
ч. 82— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	13—18
ч. 83— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	18—27
ч. 84— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	27—35
ч. 85— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	36—40
ч. 86— <u>Земельное право и земельные отношения в Кавказской области</u>	40—48

Содержание:

На русскомъ:

Страницы

Е. Козловский.—Источники попытія земскихъ и городскихъ дефицитовъ. (Оконч.)	1—5
В. Ахобадзе-Ткачевъ.—Къ вопросу о бюджетныхъ правахъ городовъ.	11—17
Е. Маддисонъ.—Вознагражденіе за отчуждаемое имущество.	17—20
С.—Къ вопросу о принудительномъ отчужденіи	21—26
Б. Уваревъ.—Основные задачи земской агрономической работы. (Оконч.)	26—32
Изъ работъ М.—С. Отд.—Курортный вопросъ въ городахъ Реси. Грузии.	32—58
В. Яновичъ.—Земская и городская жизнь	38—49
Отъ наш. корресп.—Арmenія	50—51
Почтовый ящикъ	51—52

კერძო და საზოგადოებრივი წარმოება.

III

რაციონალური წარმოება.

საზოგადოებრივ წარმოების მოწინააღმდეგებს ჩვეულებრივად მოჰყავთ ის მოსაზრება, რომ კერძო წარმოება უფრო ხელსაყრელია, რაღანაც ის იძლევა იაფ-ფასიან საქონელს და იმავე დროს თავის პატრონს უტოვებს შესამჩნევ მოგებას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ კერძო მწარმოებელი დაინტერესებულია სათანადო დარგი მოაწყოს რაციონალურად, გაუწიოს ანგარიში ტეხნიკის განვითარებას, იქონიოს მუდმივი ზედამხედველობა სა-ქონლის ეკონომიურად დამზადების და გასაღების საჭმეზე.—ერთი სიტყვით კერძო მწარმოებლისთვის ესა თუ ის დარგი წარმოადგენს მთელი მისი ენერგიის და ცოდნის გამოცდილების ნაყოფს და დაგვირგვინებას.

თუ რამდენათ მართალია ზემოდ მოყვანილი დებულება და რამდენათ შეესაბამება ის ეკონომიურ ცხოვრების ცნობებს, მკითხველი დაინახავს ქვე-მოტ მოყვანილ ფაქტებიდან. ჯერ განვიხილოთ ზოგიერთი კერძო და სა-ზოგადოებრივი წარმოება ფასების მხრივ. ინგლისის ქალაქებში ელექტრო-ნის ძალას აძლევს მომხმარებლებლებს, როგორც აღვილობრივი თვით-მმართვებლობები, ისე კერძო მწარმოებელნი. უტყუარ სტატისტიკური ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ნაკლები კაპიტალით, საზოგადოე-ბრივი წარმოება იძლევა მეტს მოგებას და უფრო იაფ-ფასებში ჰყიდის ელექტრონულ ძალას. საშუალო რიცხვით ელექტრონულ წარმოებაში

კერძო წარ-	მუნიციპალი-
მოება.	ტეტი.

თითო კილოვატერზედ არის დახარჯული	95 ლივრი 1)
ლირებულება გასაყიდ ერთეულისა	1,52 პენი.

კაპიტალის გაბათილება და რეზერვზე	71 ლივრი.
----------------------------------	-----------

მიღის 100 ლივრი კაპიტალზედ . .	24 შილინგი 2)
--------------------------------	---------------

მომხმარებელი იხდის კილოვატერზედ	3,15 პ.
---------------------------------	---------

2,2 პ.

როგორც მკითხველი ამ ცნობებიდან დაინახავს, რომელიც მოჰყავს თავის ცნობაში ინგლისელ მწერალ ბეკერს, ა) საზოგადოებრივი წარმოება ინგლისის ელექტრონულ ძალის ექსპლუატაციაში ჯდება უფრო იაფი და ეკონომიურია, ის იძლევა მეტს მოგებას და იმავე დროს მომხმარებლები ყიდულობენ ელექტრონულ ძალას უფრო იაფად მაშინ, როდესაც მისი

1) ლივრი სტერლინგი დაასლოვებით ათი მანეთია.

2) შილინგი უდრის წინადედრ რუსულ ფულით დაახლოვებით 50 კაპ.

3) Baker, Socialist Review. მარტი 1909 წ.

წარმოება მუნიციპალიტეტის (ადგილობრივი თვითმმართველობის) ხელშია, ვიღებ მაშინ, როდესაც კერძო მწარმოებლების ხელშია.

მაგრამ შეძლება ვინმეტ იციქროს, რომ ეს იშვიათი მოვლენაა, რომელიც აიხსნება ინგლისის განსაკუთრებულ მდგრადი მოვლენაშით და მისი ძველი ტრადიციული მუნიციპალური პოლიტიკით. კერძო წარმოებას ყოველ მიზანებში ერთგული დამცველები დაუკინებით იმპორტება, რომ საზოგადო წარმოება ცხოვრობს იმ გადასახადით, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება მოქალაქებს. ხოლო თავის-თავად მას მოგების მიცემა არ შეუძლიან. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უფრო იაფად ჰყილის საქონელს, ვინმეტ კერძო მწარმოებელი. შეცვერება ეს სიმართლე?

ავილოთ გერმანიის მაგლიოთ. 1907 წელს გერმანიის ქალაქებში, რომელთაც მოუწყვიათ საზოგადოებრივი წარმოება, მიიღეს დიდი მოგება. იმავე დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ თავიანთ დაწესებულებებში უმეტეს შემთხვევაში გერმანიის მუნიციპალიტეტები გაჩის, ელექტრონის და სხ. აძლევდენ სრულიად უფასოდ, ან მეტად შელაგათიან ფასებში ⁴⁾.

ქალაქები.	მ თ ბ შ ბ ა. 1907 წ ე ლ შ ი.				
	გაზხედ.	ელექტ- რონული განათე- ბაზედ.	ტრამვაი- ზედ.	წყალზედ.	სასაკლა- ოზედ.
ბერლინი . . .	7,896,639	4,749,308	3,337,057	2,534,299	776,425
დრეზდენი . . .	2,995,649	1,478,276	275,276	—	—
ლეიპციგი . . .	1,446,192	278,010	—	396,060	61,571
მიუნხენი . . .	1,573,295	—	401,230	643,891	89,265
ბრესლაუ . . .	2,085,258	705,066	—	199,677	148,553
კელნი . . .	1,533,927	632,504	150,000	886,964	72,721
ნიურენბერგი	1,579,833	—	455,000	347,366	117,854
ფრანკფურტი	354,720	1,786,000	826,000	744,595	54,289
შტუტგარტი	832,550	214,866	—	423,288	—
ჰანოვერი . . .	763,615	400,000	257,306	556,498	—

⁴⁾ ეს ცნობები მოყვანილია გერმანულ სკეპიალურ ჟურნალში Kommunale Rundschau № 12. 1909 წ.

⁵⁾ მარკა უდრის წინანდელ რუსულ ფულით 46 კაპეიკს.

როგორც მკითხველი ხედავს ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან, საზოგადოებრივი წარმოება გერმანიაშიც იძლევა დიდ მოგებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანიაში არ არის არც ერთი ზემოთ მოყვანილ დარგის მონოპოლია დაქანონებული. ამნაირად ცხრილებში ნაჩენები მოგება არ არის ნაყოფი პრივილეგიურ მდგომარეობისა ბაზარზედ. ის შედეგია თავისუფალ კონკურენციის კერძო და საზოგადოებრივ წარმოების სხვა-და-სხვა დარგებში. მთელი წმიდა შემოსავალი ქ. ბერლინის 1909 წ. მუნიციპალურ წარმოებიდან (გაზი, ელექტრონი, ტრამვაი, წყალი და სასაკლაო) იყო დაახლოებით ცხრაშეური მილიანი მარკა. ამ მოგებით ბერლინს შეეძლო, თუ ამას მოისურვებდა მისა მუნიციპალიტეტის შემაღებელობა, სრულიად უფასოდ მიეწოდებია წყალი ქალაქის მრავალ—მილიონ მოსახლეობისთვის და მოეწყო ყველა მცხოვრებლებისთვის უფასო აბანოები. საერთოდ, რასაკვირველია, ეს მოგება იხარჯებოდა ერთის მხრივ მუნიციპალურ წარმოების სხვა-და-სხვა დარვის გასამჯობესებლად და ნაწილი კი ქალაქის პიგიენურად და ესთეტიკურად მოწყობისთვის. საკვარველი არ არის, რომ ასეთი მოგების მქონე ქალაქი ითვლებოდეს პირველ რიგში სისუფთავის და საერთოდ ჰიგიენის მხრივ.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ გერმანიაც შეადგენს გამონაკლისს როგორც ინგლისი. სხვა ქვეყნებში საზოგადოებრივ წარმოებას ზარალი მოაქვს და, როგორც ამბობს წინა წერილებში დასახელებული ლორდი ავებიური ” „ქალაქ—ერობებს არა აქვს შესაფერისი ინტერესი, რომ დაიცვან ეკონომია. იმის მაგიერ, რომ მოგება ნახონ, საზოგადოებრივი წარმოება ზარალობს და ამით ზიანს აყნებს. მოქალაქეებს“.

ზემოდ ჩვენ მოვიყვანეთ კონსერვატიულ და ნახევრად ლიბერალურ ქვეყნების მაგალითები. ახლა ვისარგებლოთ ქ. ციურისის (შვეიცარიაშია) ზოგიერთ წარმოების მდგომარეობით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში გამოანგარიშებულია მთელი კომერციული ხარჯები და შემდეგ მოყვანილია წმიდა მოგება. ცნობა ეხება 1907 წელს.

მუნიციპალური წარმოება.	დახარჯულ კაპატალის პროცენტე- ბი.	სესხის ნაწილის დაფარვა.	მუშაობის პენსია.	წმიდა მოგება.
გაზი	446,888	521,507	80,000	1,001,245
წყალი	253,289	523,900	44,500	559,458
ელექტრონის განთება	257,843	242,860	23,500	294,497

*) ლორდი ავებიური. ქალაქები და სახელმწიფო კერძო წარმოების წინააღმდეგ. (ფრანგულად ნათარგმნია).

ამნაირად ქალაქ ციურისის წმინდა შემოსავალი სამი წარმოებიდან (გაზი, წყალი, ელექტრონი) 1907 წელს იყო 1,885,200 ფრანკი. ეს შეადგენს მთელი ქალაქის ბიუჯეტის 11 პროცენტს. როგორც უხედავთ, ქალაქს არამც თუ არაფერი წაუგია, არამც მას შესამჩნევი მოგება უნახავს. ქალაქ ციურისის თვითმმართველობა არის დემოკრატიულად მოწყობილი და იქ მუშების წარმომადგენელნი შესამჩნევ როლს თამაშობენ. ამით აიხსნება სხვათაშორის ის გარამოება, რომ სამზარეულოსთვინ გაზის ის აძლევს მომხმარებლებს 17 სანტიმად, ხოლო ფაბრიკა-ქარხების გასანათებად იმავე გაზის ის ჰყიდის 22 სანტიმად. ასეთ სისტემას ეძახიან განსხვავებითი (დიფუერენციალური) ფასის სისტემას. მისი მეოქებითი ერთსა და იმავე საგანზედ სხვა-და-სხვნაირი ფასი არსებობს იმის და მისედვით, თუ ვინ არის მომხმარებელი, დარიბია ის თუ მდიდარი. დემოკრატიულ მუნიციპალიტეტებში ღარიბები ნაკლებს ისდიან, ვიღრე მდიდრები. მაგალითად უნევაში ის, ვისაც სამი ელექტრონის ლამპა აქვს ოთახებში იხდის ერთ სანტიმს (მეოთხედი კაცები) საათ—ლამპაზედ, ხოლო ვისაც მეტი ლამპები აქვს თავის ოჯახში, ან სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში ის იხდის 4 სანტიმს საათ—ლამპაში. ამნაირად საზოგადოებრივი წარმოება არამც თუ არ ზარალობს, არამც მას მოაქეს მოგება მუნიციპალურ კასისთვის და ფარავს საერთო ხარჯების ნაწილს. მეორე მხრივ დემოკრატიულ ქვეყნებში, საღაც თვითმმართველობას პოლიტიკაზედ აქვს გავლენა მუშებს და საერთოდ საზოგადოების ღარიბ ნაწილს, იქ განსხვავებითი ფასი არსებობს ერთ იმავე საგანზედ და მის რაოდენობაზედ ღარიბებ და მდიდრებ შორის.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ უენევის მაგალითი, რომელსაც ჩეგნ უფრო ცრულად შევეხებით. ელექტრონის მუნიციპალიზაცია იქ მოხდა პირველ იანგარის 1895 წელს. იმავე დროს ქალაქმა 20% დაუკლო ფასი ელექტრონულ ძალას. კილო-ვატ-საათი კერძო მწარმოებლების ხელში ღირდა ერთი ფრანკი, (ასი სანტიმი), ქალაქმა ის გახადა 80 სანტიმად. ქალაქი ყოველ ღონებს ხმარობდა, რომ გადაეხადა ელექტრონული განათება ყველა მცხოვრებლებისთვის ხელმისაწვდომად. ამის გამო მან გამოიტანა გადაწყვეტილება უფასოდ ღაეთმო სათვალავი (ცეტპიკ) ღარიბ მომხმარებელთათვის. შემდეგ შემოილო ერთაშიარი განსხვავებითი დიფუერენციალური ფასი იმისდა მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას ეკუთნოდა მომხმარებელი, ბევრ თახებში ცხრილობდა ის თუ ჰქონდა დაქირავებული სამი, ან ნაკლები ოთახი. თუ მოქალაქეს უჭირავს სამი ოთახი ან ნაკლები და აქვს გაყვანილი 4 ელექტრონის ლამპა, ან ნაკლები, მაშინ მას თითო ლამპა საათში უჯდება ერთი სანტიმი.. ჩაც შეეხება უფრო მდიდარ მომხმარებელს, ვისაც სამი ოთახზე ზემო უჭირავს და გაყვანილი ჰყავს ოთხედ მეტი ლამპა, ის მეტ ფასს იხდის; ამასთან უნდა ითქვას, რომ ელექტრონის გასაყვანად ქალაქი იხდის 60 ფრანკს და ლამპებს ნახევარ ფასებში

აძლევს ღარიბ მოქალაქეებს. რაღანაც სამს ოთახში ელექტრონის გაყვანა სამოც ფრანგზე მეტი არ ჯდება—ხელმოკლე წალხისთვის ესეც უფასოა.

ფასის დაკლებით ქალაქმა ელექტრონული განათების ხმარება ყველა მცხოვრებლებისათვის მისაწილომად გახდა. უნევის კანტონში დღეს თავ-ლაც კი ელექტრონით განათებულია. მომხმარებლების რიცხვის გადიდების გამო ქალაქიც მეტს მოგებას ღებულობს და მის წლიურ თანხაში ელექტრონიდან შემოსულ ფულს შესამჩნევი აღვილი უჭირავს. 1908 წელს უნევის ჰქონდა ელექტრონულ წარმოებილ საერთო შემოსავალი 3.452.885 ფრანგი. თუ ამას გამოვაკლებთ სააღმინისტროციო ხარჯებს 1.762.076 ფრანგს—დარჩება 1.690.809 ფრანგი. იმავე დროს უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ქალაქს ვალი აქვს აღებული ელექტრონულ სადგომის კერძო კომპანიისაგან შესასყიდათ, რომლის პროცენტებს ის იხდის და ყოველ წლივ ვალის ნაწილს ისტუმრებას. როდესაც ჩვენ ამ ჭროცენტრებს და ვალის დასაფარავ თანხას გამოვაკლებთ დარჩება წმინდა შემოსავალი 662.093 ფრანგი.

1908 წელს გადასახადის სახით ქალაქის კასაში შემოვიდა 1.402.545 ფრანგი. საშუალოდ თითო სულზედ გადასახადის სახით ბიუჯეტში შედის 23 ფრ. და 35 სანტიმი. იმავე წელს ქალაქის კასაში საზოგადოებრივ წარმოებილა (გაზი, ელექტრონი და წყალი) შემოვიდა 1.633.828 ფრ. თითო სულზედ მოლის 27 ფრ. 30 სანტ. უნევის რომ აქ მოეწყო საზოგადოებრივი წარმოებები, როგორც შემოსავლის წყარო, მისი მცხოვრებლები იძულებულნი იქნებოდენ ქალაქის ხარჯებისთვის ორჯელ მეტი გადაეხადათ, ვიდრე ნამდგილად იხდიდენ ?).

ელექტრონის მუნიციპალიზაციის შედეგებზედ ერთი შვეიცარიის ბურჟუაზიული ორგანო სწერდა: „ეს საქმე დღეს ნამდვილ კომერციულ პრინციპზეა დაყენებული. დღეს წვრილ მომხმარებლებისთვის ელექტრონით სარგებლობა მეტად გაადვილებულია. ელექტრონის წარმოებას მაგალითმა დაგვიმტკიცა, რომ დღეს ზოგიერთ წარმოების მუნიციპალიზაცია შეიძლება იყოს მეტად სახეირო საქმე როგორც ქალაქის ბიუჯეტისთვის, ისე მდაბიო მომხმარებლებისთვის“⁷⁾.

ბიქტორ თევზაია.

⁷⁾ ეს ციფრები ამოღებულია ქურნალ „Les annalos de la regie directe“-იდან № 4, 21.

⁸⁾ Genevois 12 ოკტომბერი 1910 წ.

რა სახე უნდა ჰქონდეს ჩვენი რესპუბლიკის მმართველ და თვითმმართველ ძირითად ერთეულს? *)

თუ ვისმე წინათ ერობა მიაჩნდა არა-სახელმწიფოებრივ ორგანოთ, განსაკუთრებულ თვითმმართველ ერთეულად, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა მთავრობამ გადასცა ერობას აღმინისტრაციის მოწყობა და აგრარული რეფორმის გატარება, ეს აზრი უნდა უკუგდოს და დარწმუნდეს იმაში, რომ ჩვენი ერობა არის არა მარტო თვითმმართველი, არამედ მმართველი ორგანიზაცია და, როგორც ასეთი, ის წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ აპარატს.

ეს ნათელი და გარკვეული გარემოება ძირში სწყვეტს და გარკვეულ მიმართულებას აძლევს აგრეთვე მეორე ფრიად მნიშვნელოვან და მწვავე საკითხს, სახელდობრს: სახელმწიფოსა და ერობის ურთიერთობას.

რადგანაც ერობა და მისი საფეხურები წარმოადგენენ სახელმწიფოს ადგილობრივ აპარატს, ამიტომ რესპუბლიკის ცენტრალურ მთავრობას არ შეუძლია არ იქნიოს მაზე კონტროლი, როგორც კანონიერების ისე მიზანშეწონილობის მხრივ. აქ შეიძლება საკითხი დაისვას მხოლოდ შრომის, მოვალეობის და პასუხისმგებლობის განაწილების ნიადაგზე და ერობისა და მთავრობის ინტერესთა დაბირდაპირება ერთხელ და სამუდამოა უნდა ჩაბარდეს ისტორიას.

ორ წერილში „ერობათა ცენტრი“¹⁾ და „ჩვენი ერობის საფეხურები და მათი კომპეტენცია“²⁾ ჩვენ შევცადეთ ზოგადათ მოგვეპაზა ის პრინციპები, რომლებიც უნდა დაედგას საფუძველად ჩვენი რესპუბლიკის კანონმდებლობას თვითმმართველობის მოწყობის საქმეში.

ეხლა შევცადებით გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება თემის ორგანიზაციის შესახებ.

როგორც ზევით ვთქვით, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ერობას დააკისრა სახელმწიფო ფუნქციები, როგორც თვითმმართვის ისე მართვას საქმეებში და ეს უნდა იქნას დადასტურებული რესპუბლიკის კანონით.

დღმიურატიული რესპუბლიკა ისეთს სახელმწიფო წყობილებას გულისხმობს, სადაც მმართველობა თვითმმართველობაზე უნდა ემყარებოდეს, სადაც ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს როგორც ცენტრის ისე ადგილობრივ საკითხებს. და სადაც უდავო ჰქონდებათ უნდა იქნას მიჩ-

¹⁾ ამ წერილში აღმრული საკითხებს რედაქცია სადისკუსით საკითხებათ სოფლის და უზრანალის ფურცელებზე ადგილს მისცემს მოწინააღმდეგ შეცდულებასაც.

²⁾ „ერთობა“ №№ 198 და 199—1919 წელი.

³⁾ „ერობა და ქალაქი“ № 1-2—1919 წელი.

ნეული ის აზრი, რომ რესპუბლიკა ცენტრში მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როცა ის მტკიცე და ძლიერია ძირში, პერიფერიებში. და რადგანაც თემი საძირკველია ჩვენი რესპუბლიკისა და ამ-საძირკველის სიმტკიცე თვით რესპუბლიკის ერთი უმთავრესი პირობაა, ამიტომ, ვისაც აინტერესებს ჩვენი რესპუბლიკის ბედ-ილბალი, მას არ შეუძლია უპირველესი ყურადღება არ მიაქციოს თემის ორგანიზაციის საკითხს.

როგორ უნდა აშენდეს ჩვენი თემი და რა კომპეტენციები უნდა მიენიჭოს მას? — აი საკითხი, რომლის გარშემო ტრიალებს დღეს ჩვენი მოწინავე საზოგადოების აზროვნება.

რადგანაც ერობა არის სახელმწიფო ორგანიზაცია, თემი, როგორც მისი პირველი საფეხური, უნდა იყოს აღჭურვილი თავის ფარგლებში ფართო უფლებებით. თუ ერთ ნაწილში ის იქნება ცენტრისა და სამაზრო ერობის განკარგულებათა გამტარებელი, როგორც ამ ორგანოების ადგილობრივი წარმომადგენელი, მეორე მხრივ ის უნდა იყოს სრულ უფლებამი განსაკუთრებით ადგილობრივი ხსიათის საკითხებში. მას ფართოდ უნდა ჰქონდეს გახსნილი თვითმმარედების ასპარეზი; მხრილოდ ამ შემთხვევაში შესძლებს იგი შეიტანოს სახელმწიფო. აღმშენებლობაში თავისი წვლილი; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ გამოიჩენს აქტუალობას სახელმწიფო აღმშენებლობაში, დარჩება პასიური ელემენტათ და, როგორც ასეთი, ვერ შეიქმნება რესპუბლიკის სიმტკიცის საიმედო დალად. მართალია, ფართო უფლებამოსილებას ესაჭიროება დიდი ქონებრივი საშუალება და ეს კი დღეუანდელ „სოფლის საზოგადოების“ ფარგლებში გამოჭრილ ერთეულს არ შეეძლება, მაგრამ მარტო ამ მოსაზრებით ჩვენ უფლებებზე უარს ვერ ვეტყვით თემს. ეს აზრი უნდა მივიღოთ უდავოთ. რაც შეეხება თემის სტრუქტურას აქ კი მეტი სიფრთხილე გვმორიებს.

წვრილი ერთეულების გამოჭრის შესახებ სხვათა შორის ჩვენ ვწერდით: — უყველაზე უფრო იდეალურ თვითმმართველ ერთეულად ითვლება ის ერთეული, რომელიც საკუთარი საწარმოო ძალებით და ფრნანსიური საშუალებით გაუძღვება თავის საქმეს და რომლის ყველა მობინადრეში შეძლება ექნება ყველა იმ ერთეულების მიერ შექმნილ საზოგადო დაწესებულებით თანაბრათ ისარგებლოს. ასეთი ერთეულები არ შეიძლება გამოიჭრას ჩვენში. არამც თუ სოფლის საზოგადოებანი, რომელთა რადიუსი საშუალოთ უდრის 4—5 ვერსს და მცხოვრებთა რიცხვი 5000 სულს, თვით ისეთი პატარა ქალაქებიც კი, როგორც არის ორვერსიანი ოზურგეთი, ვერ არიან ისე მოწყობილი, რომ განაპირო საკითხი არ არსებობდეს. ოზურგეთსაც აქვს თავისი „ნაძალადევი“. რაც შეეხება სოფლის საზოგადოებებს, ისინი ხომ სულ შორს არიან ამ შესაძლებლობისაგან. ჩვენი საზოგადოების საშუალო რადიუსათ შეიძლება ჩაითვალოს 4—5 ვერსი: არ არის არც ერთი საზოგადოება, სადაც ყველა მობინადრეს შეეძლოს თანაბრათ ისარგებ-

ლოს საზოგადოებათა დაწესებულებით, ამის გამო ყოველგან ჩნდება ერთი ცენტრი და რამდენიმე განაპირა სოფელი“⁴⁾).

წვრილი საერებო ერთეული, როგორც რესპუბლიკის შპართველი და თვითმმართველი ძირითადი ორგანიზაცია, ჩემის ღრმა რწმენით, უნდა ყოფილიყო აღჭურვილი რაც შეიძლება ფართო უფლებებით: სხვა გვარად მათი არსებობა, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენ ვერ წარმოგვედგინა; ჩვენ იმიტომ ვიცავდით რამდენიმე საზოგადოების შეჯგუფებით ერთი მომსხვევა ერთეულის გამოჭრას, რომ შექმნილიყო ისეთი ერთეული, რომელ-საც შესძლებოდა თვისი ფინანსიურ-ეკონომიური სიძლიერის საშუალებით ამ რთულ თვითმმართველი აპარატის რიგშე მოწყობა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დღევანდელი თემები გამოიჭრა „სოფლის საზოგადოებათა“, ზოგან კიდევ უფრო წვრილ, ფარგლებში და ამ გარემოებამ შექმნა მოვადოებული წრე... თემს ფართო უფლებები უნდა, მისი განსახორციელებელი საშუალებანი კი ეკონომიურ-ფინანსიური და ინტელექტუალური ძალა მას არ მოეპოვება; ამის გამო კომპეტენციის დიდი ნაწილი შეიძლება დარჩეს ქალალზე დაწერილი და სინამდვილეში ვერ გატარდეს: ამიტომ ჩვენ უმჯობესად მიგვაჩნია, რომ პირველად მოვამაგრებულიყავით უფრო მსხვილი ერთეულებში და შემდეგ დაცნაწილებულიყავით უფრო წვრილ ერთეულებათ.

რადგანაც მთავრობის ორგანიზაცია ჩვენში ზევიდან ეწყობოდა, მოსახერხებლათ და მიზანშეწონილათ მიგვაჩნდა სოფლის საზოგადოებათა შეერთებით ერთი ძლიერი თემის გამოჭრა, მაგრამ გლეხების ერთმა ნაწილმა არსებული ცენტრის მოშლაში დაიდი სიფათი, ერთნაირი გადაგვარება და ამჯობინა ძველ ფარგლებში დარჩენა,

მაგრამ ზოგი არც ამით კაშუფილდება და უფრო შორს მიდის. ზოგს შესაძლებლად მიაჩნიათ 100 სრულ-წლოვან მოქალაქისაგან შეადგინონ საერობო ერთეული.

ამას წინაა „სახალხო საქმემ“ დასტამბა რამდენიმე მუხლი იმ პროექტისა, რომელიც შეუდგენია საერობო ცენტრის დავალებით კომიტეტის წევრს მ. ცეკვაშვილს. რადგანაც ეს პროექტი ჯერ არ დაბეჭდილა საქსებით, ამიტომ მის განხილვას აქ ჩვენ ვერ შევუდგებით. შევეხებით მხოლოდ მას იმდენათ, რამდენათაც ის ერთი მხრივ აპატარავებს წვრილ ძირითად ერთეულს და მეორე მხრივ აყენებს პრინციპს, რომლის ძალით უნდა აღდგენილ იქნას სოფლის ერთეულის ყრილობა. ამ ყრილობას ენიჭება საკანონმდებლო უფლება თითქმის ყველა აღილობრივ საკითხში, მას მეთაურობს მამასახლისი თითქმის ძეველებურად.

აქ „ოცისთავებიც“ არის ნახსენები, მაგრამ არ არის გარკვეული

⁴⁾ იხ. წვრილი ერთეულების გამოჭრა გურიაში „საქართველოს ეკონომისტი“ 1919 წელი.

მათი კომპეტენცია. ყრილობა, მამასახლისი და ოცისთავები—აი სამი სახე პროექტში წაშოგენებულ სასოფლო ერობისა. პირველი უხერხულობა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ 100 – 300 სრულწლოვან აძრჩეველზე რომ თითო ერთეული გავიჩინოთ, თითო მაზრაში გაგვიჩნდება რამდენიმე ასი წვრილი ერთეული, რომლის მოსაწყობათ და შესანახად ჩვენს რესპუბლიკას დღეს არავითარი საშუალება არ მოეპოვება. ის გარემოება რომ თემი გამოჭრა არსებულ სოფლის საზოგადოების ფარგლებში, ერთ რამის დამატებიც ებელია. როცა ძალთა ურთიერთობაში არ არის მომხდარი შესაფერი ცვლილება ცხოვრების განახლებისათვის, მაშინ ცხოვრებაში ამ რეფორმის გატარება დიდი სიფრთხისილეს და წინდახედულობას მოითხოვს. თუ არ მოხდა შეერთება, მით უმეტეს არ უნდა იქნეს დაშვებული არსებული ერთეულების დანაწილება. სასოფლო ერობა რომ ასე წვრილი ერთეულებისგან შესდგეს, მაშინ მასა და სამაზრო ერობას შუა უნდა გაჩნდეს ორი ან ერთი საფეხური მაინც, რომელიც სრულებით საჭირო არ არის. თუ წინათ სოფლის საზოგადოება უკლიდა სოფლებს, დღეს ფართო უფლებამოსილებით მით უფრო მოუვლიან მათ. აქ უფრო მიზანშეწონილათ ის გზა უნდა ჩაითვალოს, რომელიც უფრო ბუნებრივი და ნაკლებათ ხელოვნურია.

სოფელს არ ესაჭიროება არავითარი ცალკე ორგანიზაცია. ძველი წესწყობილების დროს მას ჰყავდა მხოლოდ ნაცვალი, „სბორშიკი“, კეთილსინდისიერი, რომელთა მოვალეობა ეხლა უნდა შეასრულოს იერის მილიციამ და გამგეობამ; შეიძლება დიდ თემში მილიციის შტატი გადიდეს და რამდენიმე სამილიციო პისტიც მოეწყოს, მაგავასთ დღევანდელ ქალაქებისა, რომლებიც დაყოფილია რამდენიმე სამილიციო უბნებათ.

მაგრამ აქ უფრო პრინციპიალური საკითხია—ურილობის აღდგენის საკითხი.

ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხის ბატონობა საკუთარ საქმეებზე ხორციელდება წარმომადგენლობითი სისტემით. ხალხი, მასა, ეწევა მართვა-გამგეობას თავის წარმომადგენლების საშუალებით. აქ მეტად ფართოდ არის დაყენებული ხალხის სუვერენობა. ირჩევენ არა მარტო საკანონმდებლო ორგანოს, არამედ თვით მოხელეებსაც. თუ ასეთს პრინციპზე აშენებული ხალხის ბატონობის სრული უზრუნველყოფელი, დემოკრატიულ სისტემაზე არჩეული ჩვენი დამფუძნებელი კრება და სამაზრო და სათემო ერობები, ეხლა .რა საჭიროა ძირითად ერთეულში ყრილობის აღდგენა?

არავინ იფიქროს, რომ სოფლის ყრილობის დაკანონება ჩეფერენდუმის განხორციელებას ნიშანვდეს. თუ ყრილობის მიერ არჩეული ოცისთავები და მამასახლისი იქნება, .იქ მართვა-გამგეობაც მათ ხელში უნდა იყოს და ყრილობას მართვა-გამგეობის უფლება უნდა მიენიჭოს. ხომ სუვერენიცია: ყველაზე უკეთესი კონსტიტუცია ის არის, რომელიც დაწერილ კანონში სისწორით გამოხატავს იმ ძალთა განწყობილებას, რომელიც სი-

ნამდვილეშიათ—სხვა ქველაფერს რომ თავი დავანებოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი პატარა საქართველო პოლიტიკური ცხოვრების მოშზადებითაც ძლიერ მრავალფეროვანია. რესპუბლიკის ძირითადი ერთეულიც ისეთს წარმომადგენლობით სისტემაზე უნდა ავაშენოთ, როგორზედაც ცენტრია აშენებული. სოფლის ყრილობა ვერასგზით ვერ გამოლგება ვერც მმართველად ვერც გამტარებლათ ცენტრის დადგენილებებისა.

ჩვენი სოფლის საზოგადოება იყო აშენებული მე 61 წლის რეფორმებზე. თვითმმართველ ერთეულად ითვლება საზოგადოების ყრილობა, აღმასრულებლათ კი მისგან არჩეული მამასახლისი, რომელიც ამავე დროს იყო მთავრობის აგენტიც. კანონის ძალით მას თანაირი პასუხისმგება ჰქონდა დაკისრებული, სინამდვილეში კი ის მხოლოდ მთავრობის მოხელეთ ხდებოდა და ამრჩევლებს სრულებით არ უწევდა ანგარიშს. უნდა მართალი ითქვას, ვერც ყრილობა იდგა თავის სიმაღლეზე. ის დაახლოვებითაც კი ვერ იყენებდა იმ უფლებებს, რასაც ანიჭებდა მას კანონი. თუ ერთის მხრით ამის მიზეზი იყო მთავრობა, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა მას თავზე და არ აძლევდა გასაქინს, მეორე მხრით თვით ეს ყრილობაც ვერ წარმოადგენდა ისეთს თრუანისაციას, რომელსაც ლირსეულად შესძლებოდა თავისუფლების ცხოვრებაში გატარება. ყრილობა იყო მრავალრიცხვოვანი ამის გამო მისი შეკრება ძალიან გასაჭირო ხდებოდა.

თუ რამდენათ შეუსაბამო იყო ეს ყრილობები და რა ნაკლულევანება ჰქონდა მათ, ამას ნათლად ამტკიცებს ქელი რეკიმის ერთი წინდახედული ბიუროკრატის სიტყვები:— „ასრულებენ რა საკოლოსტო ყრილობის თითქმის ყველა ფუნქციებს ამიერ კავკასიის გუბერნიათა სასოფლო ყრილობანი, როგორც კანონით ერთი სოფლისთვის დანიშნული, გაერთიანების შემდეგ აღმოჩნდენ მეტად მრავალრიცხვანი და ნაკლებად შესაბამი თავისი ვალდებულებათა აღსრულების მხრივ. სოფლის საზოგადოების ყველა სახლის პატრიონთა საერთო ყრილობა დიდი ხანია იწვევდა საჩივარს არა მარტო ხალხის, არამედ იმ აღმინისტრაციის მხრივაც, რომელმაც შექმნა აუცილებლების ძალით ეს უზარ-მაზარი ყრილობები დიდი ხანია უთითებლნენ. ასეთი ყრილობების სინამდვილეში შეკრების სიძნელეზე, ასეთი ყრილობის ფიქტიურობაზე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ განაჩენზე ხელის მომწერმა არც კი იცის დადგენილების შინაარსი, რომელსაც ხელს აწერს. აგრეთვე უთითებდენ იმ გარემოებაზე, რომ ასეთ ყრილობებზე ხალხის ყვირილსა და ხმაურობაში ძნელი გასაგებია რა დადგენილებაა გამოტანილი, მაშინაც კი როცა მას ხელმძღვანელობენ თვით უფროსები და სხვა ამ გვარი“—⁴⁾.

მართალია ეს სიტყვები ეკუთვნის ძეველი წყობილების დამცველს, რო-

⁴⁾ იხ. მეფის მოადგილის ვორონცოვ-დაშვილის საკანონმდებლო მოხსენება 1915 წლის 3 ოქტომბერი № 18492.

მელსაც აწერენ ალექსანდრე მესამეს გამეფების და მეფის ტახტის გადარჩენას ალექსანდრე მეორეს სიკვდილის შემდევ, მაგრამ ყრილობის ნაკლთა ეს დახასიათება სრულს ჭეშმარიტებას. წარმოადგენს და ეს შეხედულება ჩვენის აზრით ძალაში რჩება ესლაც. ისტორიულად დამტკიცებულათ შეიძლება ჩაითვალოს ის აზრი, რომ მეფის ჩინოვნიკები მხოლოდ მაშინ მიმართავდენ ამა თუ იმ რეფერმას, როცა მათი საერთო პოლიტიკური მდგომარეობისთვის საჭირო იყო ხალხის, ფართო მასსის, ამოძრავება და მათი მხარის დაჭერა. განსაკუთრებით ომიანობის დროს. ამას ამტკიცებს რეფორმათა ისტორია. ასეთივე საომარი მდგომარეობით იყო გამოწვეული მეფის მოადგილის ზემოთ დასახელებული საკანონმდებლო წინადადება, რომელსაც მართლაც მოჰყვა კანონი, რომელიც სპობდა სოფლის და საზოგადოების ყრილობას და მათ უფლებას ანიჭებდა საზოგადოებაში. საზოგადოების ოცისთვთა ყრილობას მამასახლისის მეთაურობით და სოფელში სოფლის ოცისთვთა ყრილობის ნაცვალის მეთაურობით.

დღევანდელი ყრილობა უმთავრესად მით განსხვავდება ქველი ყრილობისაგან, რომ მას ექნება მინიჭებული ფართო უფლება თავის საქმეების მართვისა, მაგრამ საქმე იმდენათ უფლებაში არ არის, რამდენათაც მის გამოყენებაში.

ვინც აკვირდება ჩვენი სოფლის დღევანდელ ცხოვრებას, ის დამერწმუნება, რომ დღესაც აქვს გასავალი დროიძებებს და მოსე მწერლებს. ქველად ყრილობას ხუთიოდ თავაღებული კაცი პატრონობდა ფაქტიურად, თავს იქით უზამდა, საითაც მას მოესურებოდა. მაგასახლისისაც ის ირჩევდა, გადასახადაც ის ანაწილებდა. ერთი სიტყვით, მთელი მართვა-გამგეობა ამ მოჭამარაკეთა ხელში იყო. არც დღეს ვართ ამ მდგომარეობიდან მაინცა-და-მაინც დაშორებული. ივ. გომართელის სიტყვები ზღაპრული ფირმით გამოხატული სრულს სინამდვილეს წარმოადგენენ.

იგი უსაყველურებს სოფლებს, რათ აირჩიეთ სოფლის მეთაურად ისეთი კაცი, რომელიც უსამართლოდ მართავს სოფელს, ხომ მას კარგათ იცნობდით,—ამაზე სოფელი ასე გულახდილათ უპასუხებს:—„უღლინით კი ვიცი, მაგრამ დაასხელეს და მეც რაღა მექნა ხათრი ვერ გავუტეხე, ავიღე და ჩავუგდე თეთრი—სოფელი, ხო იცი, შე დალოცვილო, ყრუ არი. შეუგნებლობითა და ხათრით ბევრი საქმე ფუჭება“.

ეს ჩვენი სოფლის ტიპიური დახასიათებაა. დღევანდელი ჩვენი სოფლის ყრილობა ვერ გამოიყენებს უფლებას ლირსეულად. ხაზგასმით უნდა ვალია-როთ, რომ სალხი ჯერ კიდევ არ არის იმდენათ მომზადებული რომ, მან პირდაპირ უმეშვეოთ გასწიოს კანონმდებლობა მხართვისა და თვითშემართვის საქმეში. აქეთკენ ჩვენ უნდა მივიღოთ ვიდეთ. ეს ჩვენი იღეალი უნდა იყოს, რომ ხალხი ავიყვანოთ იმ შეგნებმდე, როცა მას შეეძლება უმეშვეოთ თავის საქმეების გაძლიერება—საკუთარი ჭიუა-გამოცდილებით მმართვა და თვითმმართვა. რეფერენცუმს ფართო განათლება და დიდი გამოცდილება უნდა

უძლოდეს წინ. მეორე მხრით ყრილობის ასეთი უფლებით აღჭურვა ერთიანად დასცემს არჩეულთა ავტორიტეტს და დაუკარგავს გავლენას ამრჩევლებზე. თუ საქმის მმართველი იქნება ყრილობა, მაშინ რა საჭიროა ოცნე-თავები და ხმოსნები? ასეთმა გარემოებამ ბოლოს-და-ბოლოს პირდება დამ-ფუძნებელი კრების ავტორიტეტიც კი შეარყიოს.

არა, ჩვენ უნდა შევაჩიოთ ჩვენი ხალხი წარმომადგენლობითს სის-ტემას. ამას ვასწავლიდით დღემდე. მან უნდა იცოდეს, რომ მართვა-გამ-გეობის უმარტივება არჩეულების საქმეა განსაზღვრულ ვადის განმავლობაში და მათ ამ საქმეში პირდაპირ უმტკვეოთ ჩარევა არ შეუძლიანთ. ბიურო-კრატის მიერ დაწუნებულ ყრილობას ჩვენ ვერ დაუუბრუნდებით. შეიძლება ჩვენ სოფელში გვჭიროდეს საკუთარი ძალა, მაგრამ არა კანონმდებელი არამედ გამტარებელი და ეს საჭიროების მიხედვით ადგილობრივ პირო-ბებთან შეთანხმებით უნდა გაიჩინოს თვით თემმა.

შემონათქვამი შეიძლება გამოიხატოს შემდეგ დებულებებში:

1, ძირითად მმართველ და თვითმმართველ ერთეულად უნდა იქ-ნას აღიარებული თემი.

2, თემი უნდა იქნეს აგებული წარმომადგენლობით სისტემაზე ფურთო უფლებამოსილებით მმართვისა და თვითმმართვის საქმეში დამო-უკიდებლად მის სიღიადე სიპატარავისა.

3, უნდა ვერიდოთ ცემის ხელოვნურათ დაბატარაებას და ხელი შევუწიოთ საზოგადოებათა შეჯვეუფლებით მის გამოქრას სადაც ეს მო-სახერხებელი და იმავე გახატარებელი იქნება თვით მცნობრებლებში.

4, ფეხმა და სამაზრო ერობას შეუა არავითარი თვითმმართველი საფეხური არ არის დასაშვები.

5, უნდა კითევორიულად იქნეს უარყოფილი მმართვისა და თვით-მმართვის საქმეში სოფლის ყრილობის უფლებამოსილებით აღჭურვა.

6, სოფელში შეიძლება გაიჩინოს თემმა საჭიროების მიხედვით მხოლოდ გამტარებელი, დამხმარე, აღმასრულებელი ძალა და არა თვითმმართველი.

ვიქ. ლლონტი.

¹¹ | 28 ივლისის 1919 წლის კანონი უძრავ ქონების იმულებით ჩა-
მორთმევისა, დროებით დაჭირისა და მის სარგებლობაში მონაწი-
ლების დაწესებისა სახელმწიფო ან სამოვადოებრივ საჭიროებისა-
თვის.

1. კანონის მიზანი.

სახელმწიფო ვალდებულია მცხოვრებთა საერთო ინტერესებზე იზ-
რუნოს. თითოეული მოქალაქე კერძოთან რომელიმე კერძო წასიათის და-
წესებულება ემსახურება საკუთარ კერძო საქმეს; სახელმწიფო კი ზრუნავს
მთელ სახელმწიფოზე, მთელს ხალხზე.

ასეთი საქმე აქვს კანონით დაკისრებული საზოგადოებრივ ორგანი-
ზაციებს, თვითმმართველობის ორგანოებს—საქალაქო და საერობო დაწე-
სებულებებს.

ერობების და ქალაქების მოვალეობები გაიზარდა განსაკუთრებით
მას შემდეგ, რაც ისინი ადგილობრივ მმართველობის ორგანოებათ გადა-
იქცნენ.

ჯერ კიდევ რუსეთის ძველი რეჟიმის დროს არსებობდა სასტიკი
განსხვავება კერძოსა და საზოგადოს შორის. კანონით გათვალისწინებული
იყო შემთხვევები, როცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის
დაშვებული იყო სხვისი უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევა ან დროე-
ბით დაჭერა, რაც აწერილია კანონთა კრებულის მე-10-ე ტომის პირველ
ნაწილში, მუხლ. 575—608.

სამოქალაქო ურთიერთობის სფეროში ყველაფერი ურთიერთ შეთან-
ხმებაზეა დამყარებული. სახელმწიფოსაც შეუძლია შეუთანხმდეს ამა თუ
იმ პირს და შეთანხმების შემწეობით შეიძინოს ესა თუ ის ქონება.

მაგრამ ხშირად ეს შეუძლებელი ხდება. კერძო პირი ან ჯგუფი გა-
ტაცებულია პირადი ანგარიშებით, და ამიტომ ის ან სულ არ დათანხ-
მდება, წებით პირობის დადებაზე ან, თუ დათანხმდება, შიუწდომელ პი-
რობებს დასდებს. ამით დაიჩიარება საერთო ინტერესი. მაგრამ რომ კერძო
პირიც არ დაზარალდეს, ამისთვის კანონით სახელმწიფოსაც აქვს დადე-
ბული ერთგვარი საზღვარი: სამოქალაქო კანონის 575 მ. ძალით ჩამორ-
თმევა შეიძლებოდა მხოლოდ სამართლიან და რივიან ფასში.

ას იყო საქმე ჯერ კიდევ რუსეთის თვითმყრობელობის ბატონობის
დროს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შეეძლო ეს სამართ-
ლიანი დებულება არ მიეღო. მხოლოდ მისალებად ვერ ჩასთვლიდა ის იმ

ტლანქ წესს, რომელთც ჩამორთმევის დროს იხმარებოდა. ამიტომ 1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ზემოთ აღნიშნული პრინციპი იძულებით ჩამორთმევისა და დროებით დაჭრისა, გაუქმა ძეველი წესი და მის ნაცვლად შემოიღო ახალი: სათანადო კანონი გამოქვეყნდა გასული წლის 28 ივლის.

რა ცვლილება მოახდინა ამ ახალმა კანონმა? დიდი არაფერი. უპირველეს ყოვლისა მან მხოლოდ გააუქმა ის დახლორებული წესი, რომლითაც „სამართლიანი“ საფასურის გამოანგარიშება ხდებოდა. ჩამორთმევის ან დროებით დაკავების საქმე. საბოლოოდ ხელმწიფოფერი მიღიოდა. ახალმა კანონმა ეს შესცვალა და უფრო მარტივი და თანაც დემოკრატიული წესი შემოიღო. რაც შეეხება „სამართლიანი“ ჟანის განსაზღვრას, ახალმა კანონმა აქაც მეტი გარეკვეულობა გამოიჩინა.

2. საფასურის გამოანგარიშების წესი და საფუძველები.

საფასურის გამოანგარიშების წესი ორნაირია იმის მიხედვით, თუ ვინ აწარმოებს საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეს: თუ მთავრობა ან თვითმმართველობა თითონ განახორციელებს აღნიშნულ საქმეს, იმ შემთხვევაში ფასაც თითონ აწესებს ერთგვარი ნორმის მიხედვით, რაც შეფარდებული უნდა იყოს მამულის უკანასკნელ შეფასებასთან. აქ კანონს გათვალისწინებული აქვს ისიც, რომ შესაძლოა უკანასკნელი შეფასებით მამულზე ძალიან მცირე ფასი იყოს დადებული. ამიტომ მე-7-ე მუხლის შენიშვნით მამულის პატრონს უფლება ეძლევა სათანადო ქალაქს ან ერობას ორი თვის განმავლობაში შოსტოებს მიშულის ახალი შეფასება.

ამით კანონი თითქოს აფრთხილებს იმ მაღა-გასსნილ და გამოქვიდებული შემთხვევის, რომელიც წესიერ შეფასებას ერიდება, რათა საერობო და საქალაქო შეფასებით გადასახადისაგან თავი დაიძერინოს: თუ გადასახადის თავიდან აშორების მიზნით ახალ შეფასებას არ მოითხოვ, შეიძლება ჩამორთმევა შენს მამულს ხვდეს წილად და იცოდე წაგებო!

შეორე წესია იმ შემთხვევისათვის, როცა მთავრობა ან თვითმმართველობა თითორნ არ განახორციელებს იმ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ საქმეს, რომლისთვისაც ჩამორთმევა ხდება (12 მუხლი), არამედ ჩამორთმეულ მამულს გადასცემს კერძო პირს ან ამხანგობას. მაგალითი: რომელიმე ამხანაგობამ გადასწყვიტა ელექტრონის საღვური გამართოს, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საქმეს იკეთებს არა მთავრობა ან თვითმმართველობა, არამედ თითონ ეს ამხანაგობა. ასეთს შემთხვევაში დადგენილება უნდა გამოიტანოს მთავრობამ, ხოლო საფასურის შესახებ წარმოების პატრონი მამულის პატრონს უნდა შეუთანხმდეს წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს სწყვეტს სათანადო სამოქალაქო სასამართლო ქვემდებარეობის მიხედვით—ოლქის სასამართლო ან მომრიგებელი მოსამართლე.

3. როდის შეცდის ძალაში დაზღვენილება ჩამორთმეულის ან დროებით დაჭერის შესახებ. შეიძლება თუ არა დაზღვენილების სასამართლოში გახსაჩივრება.

რამდენადც ვიცით, აღნიშნულ კანონით ჩამორთმეულ მამულის თაობაზე ჯერ-ჯერობით არც ერთი სტეპე არ მისულა სენატამდე, და ამიტომ არ ვიცით, რა გზას დაადგება სენატი.

ჯერ-ჯერობით კი პრაქტიკა ასეთია: ყოველი დალგენილება უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმეულის ან დროებით დაკავების შესახებ უნდა წარედგინოს მთავრობას, ეს მოთხოვნილება აღნიშნულია მე-4-ე მუხლის შენიშვნაში, რომელიც სიტყვა სიტყვით შემდეგს შეიცავს: „ქალაქის ან ერობის თვითმშართველობის დადგენილება ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა, რომელსაც უნდა წარედგინოს დადგენილების ასლი საქმის განმარტებით სამის კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილების ასლის მიღებისა არ აცნობებს სათანადო თვითმშართველობას, რომ მის დადგენილებას არ ეთანხმება“...

მაშასადამე კანონით მთავრობა როდი ამტკიცაბს. წარდგენილ დადგენილებას, არამედ თუ საჭიროდ ჩასთვლის, მხოლოდ „ვეტო“-ს დადებს, აკრძალავს ხოლო, თუ არაფერი აცნობა სამი კვირის განმავლობაში, დადგენილება ძალაში შედის.

ექვემდებარება თუ არა აღნიშნული კანონით ჩამორთმეული მამულის გამო ატეხილი დავა სასამართლოს?

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არა და აა რატომ.

თითონ კანონის ტექსტში ეს არ არის გარკვევით აღნიშნული. მაშასადამე ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ კანონის საერთო აზრით და ერთი რამ ყოველ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ: კანონმდებელი, ამ შემთხვევაში დამფუძნებელი კრება, ვერც უგუნურობას დაუშვებდა და ვერც ელემენტარულ სამართლიანობის დარღვევას. ხოლო თუ მთავრობაში გავლილი საქმე კიდევ სასამართლოში გასარჩევი გახდება, იმ შემთხვევაში უნდა დაუშვათ ორივე შეუსაბამობა. შართლაც: მე-4 მუხლის შენიშვნა ამბობს, რომ დადგენილება ძალაში შედის, უკეთუ მთავრობა სამი კვირის განმავლობაში თვითმშართველობას არ აცნობებს, რომ მის დადგენილებას არ ეთანხმება. და თუ ძალაში შევა სისრულეშიაც იქნება მოყვანილი. მერე რა გამოვა აქედან? ის, რომ თვითმშართველობა ფაქტურად დაიჭერს ჩამორთმეულ მამულს და თუ შემდეგში სასამართლომ დადგენილება გააუქმა (რაც არივე ინსტანციაში ექვს თვეზე იდრე მაინც არ გათავდება), თვითმშართველობა იძულებული იქნება დაჭერალი უძრავი ქონება ისევ დასტოვოს, ე. ი. ტყუილ-უბრალოდ ხარჯები გასწიოს.

ცაბდია, ასეთს უგუნურებას კანონმდებელი ვერ ჩაიდუნდა.

ახლა შევხედოთ საქმეს მეორე მხრიდან. მთავრობა სამი კვირის განმავლობაში უარს არ ეუპნება თვითმმართველობას, მაგრამ დაინტერესებულ კერძო პირს დადგენილება სასამართლოში გადააქვს და საშუალება აქვს თავისი ინტერესები დაიცვას. მაგრამ ავილოთ წინააღმდეგი: მთავრობამ უარი უთხრა თვითმმართველობას დადგენილების დამტკიცებაზე. ამ შემთხვევაში თვითმმართველობა უნდა გაჩუქრდეს: მთავრობის დადგენილების გასაჩივრება სასამართლოში არ შეიძლება. ეს კი დაუშევებელი უსამართლობაა, რადგან მხარეების თანასწორ უფლებიანობას ძირიან-ბუღდიანათ ანგრევს.

და განა - შეიძლება ასეთი უსამართლობის ჩადენა მივაწეროთ კანონმდებელს?

იტყვიან: თვითმმართველობა მთავრობის ორგანოა და ამიტომ მთავრობას უნდა ემორჩილებოდეს. კარგი, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მფავრობას მისცემოდა ნება თვითმმართველობის საჭიროებისათვის ამ უკანასკნელის თხოვნით თვით მოქადინა ჩამორთმევა და ამდენ დავიდარაბას ადგილი არ ექნებოდა.

ვიმეორებთ თვითონ კანონის ტექსტიც ნათელია; აქ სასამართლო ნახსენებია იმ შემთხვევისათვის, როცა თვითმმართველობა თვით კი არ განახორციელებს დასახულ მიზანს, არამედ ჩამორთმეულ მამულს სხვას გადასცემს: ამ შემთხვევაში საქმე მიდის სასამართლოში და ისიც ფასის დაზარალის შესახებ.

სხვანაირად ეს არც შეიძლებოდა, რადგან 11—28 ივლისის კანონმა დაიჭირა მე-X-ე ტომის 575—608 მუხლების აღგილი, ის ძებლი კანონი კი სასამართლოს არ აკუთვნებდა ასეთი საქმეების განხილვას.

მართლაც რა აზრი აქვს საქმის სასამართლოში გადასვლას, როცა მთავრობას აქვს კონტროლი მინდობილი.

ზოგიერთები გაიძახიან: მთავრობა კონტროლს უწევს მიზანშეწონილობას, სასამართლო კი კანონიერებას.

ეს არ არის სერიოზული მოსაზრება. კანონში ნათქვამია, რომ დადგენილების გამოსატანად სხდომას უნდა დაესწროს ხმოსანთა შემაღენლობის ორი მესამედი (ვ. 4) და უძრავ ქონების იძულებითი ჩამორთმევა ან დროებით დაჭრა უნდა მოხდეს იმ საქმისათვის; რომელიც თვითმმართველობას კანონით აქვს დაკისრებული (მუხ. 2-ე) ამის გაგება არ შეადგენს ისეთს რომელს რამეს, რომ მთავრობამ ეს ვერ შესძლოს.

გარდა ამისა, უაზრობაც გამოდის: მთავრობას შეუძლია არ უარპყოს უკანასკნელათ გამოტანილი დადგენილება და ეს სასამართლომ უნდა გაასწოროს, ხოლო თუ მთავრობამ უარპყო თვითმმართველობის დადგენილება, მორჩია და გათავდა: თვითმმართველობამ იარაღი უნდა დაპყაროს. დაბოლოს რა გამოდის: მთავრობას შეუძლია სრული თვითნებობა ჩაიღინოს თვითმმართველობის მიმართ, ამიტომ უნდა მივატოვოთ ძელი ღროიდან მიღე-

ծյուլո օշրությունու լատաօա: յանոնոյերեծիս և մոխանշեցրոնունուն գագու-
ճապութիւնա. ըցմուկրամուս վյոնծունուն սյուլաց առ շնչքը յս մզելո քրոնու
յնացուն, հոմիւլու տցումմարտցելոնիս յդցա և նեց ցշերնամունու լած-
ճանցեծուն.

յանոնուն մույլո աչրո ու արուն հոմ մտացրոնիս արնոնշնչու սայմեշո
ջուսկրյուսու շոյլուն այցս և սասամարտլուն յս սայմե առ շնչա յեցիու-
ցուն, հացան տացո և տացո ամ սայմեշո արուն յոսո. յոսուն, հոմ սյուլուն
սիմշցունց արտմեց մեքարտրոնես, տորհու մանահինո մաս առ անբուժեցեմն.
և հայո յանոնմա օմշունցիտ մուրու յոսո դաշնչուս პատրոնս, լանահինու
քուն մոնշնչուն առ այցս.

ամուրուն մեռլուն մտացրոն շնչա սիմշցունց ամ սայուտես—ասետու
յանոնուն ջեզա-աչրո և մոնշնչուն եռլու տու մերու աչրո մոցունցիտ,
տացո զեր լացալնչուտ ու սասամարտլոնիս, հոմելու նեցմուն մոցունցիտ.

Սաւ արուն ցամուսացալու.

Քացլու մուրուն յուտիշամ: ամառա յանոնուն լաշիրա, տու առ ասերու-
լուն տու.

հուցա յանոնշո մյ-4-եց մոյելուն Շյենշնչա Շեյուանց, ոյիշրունց: զա
տու տցումմարտցելոնիս ծորուուն ու սարցեցլուն ամ յանոնուտու և մտաց-
րոնիս յանբուռուն շոյլուն սայմեսո.

յս առ ցամուցա սիմռու. ամ սայմեշո տցումմարտցելոնիս մուշեցացաւ
շյուգունմեծիս, մտացրոնիս յուցրու յարցատ ջակուրու ցամուցա. յս ասեց
շնչա մոմեցահոյու, հացան բյունբուրուն մտացրոն յուցրու ձունուուն յուցրու
ելումլցանցու և ես ես մոմեցմա, յոնց մ վարուու սայմեցիս ցամունուն.
ամուրուն արուն, հոմ նոցո տցումմարտցելոնիս դացցենունցիտ մտացրոն
սրունուած յումիշենու առ ամբույցմա: մյելու առ հոմ ութունց եռլու յունու-
նոմիս առ մոյեթոնա; և մարտլաց հոցառ նոյելուն սայմիս մտելու յոյշ-
թուրու մեսար ցաւընուն մտացրոնիս մամու կցուրուս յանմացլոնիս, հոմելու ու
մուս յանցարցունց յանոնուտ: սայմիս ուշցուատ նշեմտեցցեմ յարու ծոլուն
և ծոլուն յուծրուն մոխելուն սիմշցունց: ան տցումմարտցելոնիս ձունուած
յնահինա լամոյունցիտ: տու տցումմարտցելոնիս ելումլցանցու ցավլու-
նուանու ձունու, սածուն լացցենունցիտ մոութոնցիտ, տու առ և սածուն մուս-
ցիտ.

ամուրուն հիշեն ցոյիշրուն տու, հոմ ու մոյելու, հոմելու մտացրոնիս ան-
շեմ այսամալուն յուցրուն յուցրուն սյուլ շնչա ամունշալուն յանոնուն. մոցունց նեցի
տցումմարտցելոնիս տունու յաշնչուու անցարուս մուշուրունցիտ աչրու և տու
մանց և մանց յանբուռուն սակուրու—լու յս ոյուն յանբուռուն սասամար-
լունուսո.

սասամարտլու մուշեցացաւ մուսու լուցանցուն նայլուս, յրու մցու-

ფასი სამკაულით არის დაჯილდოებული: მისი სხდომა საფაროა, ორივე მხარე თანასწორი უფლებით სარგებლობს და გარდა ამისა არის საფეხურები და თუ ერთმა საფეხურმა შეცდომა ჩაიდინა, მეორე საფეხური გადასინჯავს და გაასწორებს.

შეიძლება დღევანდელ სასამართლოს დემოკრატიული პრინციპები ვერ ჰქონდეს შეთვისებული, სამაგიეროთ ერთი რამ უზრუნველოფილია: დადგენილებების ერთგვარობა და ნაკლები თვითნებობა.

საჭიროა 11—28 ივლისის კანონი შესწორდეს—იმ მხრით, რომ მთავრობის კონტროლი მოიხსნას.

და თუ ჩევნი თვითმმართველობა იმდენათ მოუმწიფებელია, რომ ორმაგი კონტროლი ესაჭიროება, უმჯობესია სულ გაუქმდეს 11 ივლისის კანონი, ვინემ ასე დამახინჯებულათ ტარდებოდეს ის ცხოვრებაში.

კ. 6.

ვლეხთა უფლებანი ცყეშე და დამფუძნებელ კრების დეკრეტი
ცყის მფლობელობისა და სარგებლობისა.

(გაგრძელება)

III

1. ხაზინამ, როგორც მოსალიდნელი იყო, უფრო გვიან მოჰყიდა ხელი თავის ინტერესების დაცვას ტყის საკითხში, მინამ კერძო მემამულებებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა უკვე ნაწევარმა საუკუნემ გაიარა რუსეთის ძალა-უფლების დამკვიდრებიდან საქართველოში, სახაზინო ტყებში თავისუფლად ბატონობდნენ სახაზინო გლეხნი. მათ ჰქონდათ უფლება ტყის უფასო მოჭრის, რამდენსაც და საცა მოისურვებდენ, როგორც თავის საჭიროებისათვის, აგრეთვე გასასყიდათ ამასთან როგორც საამშენებლოთ, აგრეთვე საწვავათ. 2) ნებადაურთველად ტყის გატეხის სახნავ მიწების გამოსაყენებლათ 1) ამისთანა ფართო და მოუქსრიგებელ ტყით სარგებლობას მოჰყევა რასაკვირველია, ტყების დაუშვებელი გაჩეხა და დაზიანება. თვით გლეხებმა, მაგ. თელ. მაზრაში, მიმართეს აღმინისტრაციას თხოვნით რომ მიღებულიყო ზომები ტყების განადგურების წინააღმდეგ. კავკასიის მმართველობამაც მიაქცია პლოს ყურადღება სახაზინო ტყების მდგომარეობას და 1851 წლიდან იგი იღებს მთელ რიგ ზომებს აღმინისტრატიულ წესით

1) Медвѣдевъ. Отношеніе государственныхъ крестьянъ закавказскаго края къ казенныиъ лѣсамъ, 1888 г. стр. 30; სხვა უფლებებს, როგორც მაგ. საქონლის ძოვნა ტყებში, ჩვენ აյ ვეხებით.

ტყის სარგებლობის მოსაწესრიგებლათ და ტყეების სრულ განადგურებისაგან გადასარჩენათ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ ჭმინდა და საჭირო საქმეს აკეთებდა თვითმყრობელობის ბიუროკრატია, გულგრილი ხალხისა-ლმი, უცხო მისთვის და არამცოდნე გლეხთა უფლებებისა ტყეზე; ის აკეთებდა ამ საქმეს უგეგმოთ, მას არ ჰქონდა ხელში სწორე ცნობები არც ტყეების რაოდენობაზე და მათ ლირსებაზე, არც ხალხის საჭიროებაზე. მას აინტე-რესებდა უმთავრესად ფისკალური მხარე და არა მიზან-შეწონილი მოხმარება ტყის სიმდიდრის მთელი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით. ამიტომ ტყეების დაცვასთან ერთად მმართველობა ზედმეტად აწუხებდა გლეხობას და ავიწროებდა მას.

2. პირველ ყოვლის შეიქრა მთელი რიგი აგარაკების, გათხელებული უზომო ჩეხებისაგან; მერე აიკრძალა ნება-დაურთველად ტყის გატეხა სახნავ მიწის მისაღებათ; ტყის სარგებლობის შესახებ იქნა შემოლებული (ადმინის-ტრატიული, არა კანონმდებლობითი წესით) სისტემა, რომელიც მდგომა-რებულა შემდეგში.

ტყის მოურავი ყოველწლივ ჰკრეფდა ადგილობრივ ადმინისტრაციის საშუალებით ცნობებს იმის შესახებ, რამდენი და რაგვარი ტყის მასალა სჭირია მის რაონბში მყოფ სახაზინო გლეხების სოფლებს. ამ ცნობების თანახმად და იმის მიხედვით, თუ რამდენი მასალის გამოშვება შესაძლებე-ლია ამა თუ იმ ტყის აგარაკიდან, ისე რომ უკანასკნელი არ დაზიანდეს, ტყის მოურავი ადგენდა ხარჯთ-აღრიცხვას იმის გამოსარკვევად, თუ 1) რამდენი ტყე მიეცეს სახაზინო გლეხებს უფასოთ 2) რამდენი უნდა გაშ-ვებულ იქმნას გასასყიდათ 3) რამდენი მიეცეს გზების და ხიდების გასაკე-თებლათ, ჯარს და სხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვას ის უდგენდა დასამტკიცებ-ლათ კავკასიის მმართველს—მეფის ნაცვალს, და მარტო ამის მერე უშვებ-დნენ ტყეში საჭირო მასალის გამოსატანათ. უფასოდ ეძლეოდათ გლეხებს უმთავრესად ფიჩი და გამხმარი ხეები. ხის მოჭრა დაშვებული იყო მარ-ტო ბილეთით. საშუალოთ თითო კომლზე უფასოდ ეძლეოდათ არა უმე-ტესი—1 კოჭის, 2 ლატანის, $\frac{1}{4}$ კვ. საქ. შეშის, 1 კვ. საქ. ფიჩის; მეტს აძლევდნენ მარტო გადმოსახლებულ რუსებს ²⁾). აკრძალული იყო სისხლის სამართლის სასჯელის შიშით გაყიდვა უფასოდ მიღებულ მასალის ³⁾. ვადა, ბილეთების მიღების ტეხნიკა და ალაგი, საცა უნდა მოჭრილიყო უფასოდ ნება-დართული ხე-ტყე, ძალიან ბევრ შემთხვევაში იყო იმდენად მოუხერხებელი, რომ გლეხობა იძულებული იყო უარი ეთქვა იმის მიღება-ზე. 1862 წლიდან მეფის ნაცვლის განკარგულებით იყო შემოლებული 10% (ნიხრის ლირებულობიდან) გადასახადი. ⁴⁾ იმ მასალაში, რომელსაც გლეხებს

²⁾ მედვედევს—სტ. 33.

³⁾ ib.—სტ. 34.

⁴⁾ ib. სტ. 35.

აძლევდენ უფასოდ თანახმად დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის. რომელი გადასახადიც უნდა მიეცათ მაშინ, როცა წაულებელი დარჩებოდათ მოჭრილი ტყის რტოები და წვეროები.

ამ გადასახადს ჰქონდა სპეციალური დანიშნულება: იგი უნდა, მოხმარებულიყო გზების გასაკეთებლად ტყეებში, ტყის გასაშენდათ ფიჩხისაგან, საზოგადოთ ტყეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ფაქტოურად ამ გადასახადს გლეხებს ახდევინებდენ ყოველთვის, როცა უფასოდ აძლევდენ მასალას და ამრიგათ მას ჰქონდა უბრალო, მართალია ათჯერ შემცირებულ, ბაჟის ხასიათი, რომელსაც მათგან იღებდა ხაზინა.

ამ გადასახადის გარდა ტყის აღმინისტრაციამ საფალდებულოთ გახდა, როგორც პირობა უფასოდ ტყის მასალის მიღების, რათა სოფლებს დაეყენებინათ ტყის ყარაულები, ე. ი. შემოიღო ერთგვარი ბეგარა. ვინც უარს ამბობდა ყარაულის მიცემაზე, იმ სოფელს არ შეიტანდნენ ხარჯთ-აღრიცხვაში და არ მისცემდნენ მას უფასოდ ხე-ტყის მასალას.

საერთოდ მმართველობა სისტემატიურად უმოქლებდა უფასოდ მისაცემ მასალის რაოდენობას.

აი, მაგალითად, რაოდენობა უფასოდ მიცემულ ხე-ტყის მასალის ფშავლის აგარაკიდან სოფლებ ფშაველს (147 კომლი) და შაქრიანს (110 კომ.)—სილნალის მაზრაში მიცემულია:—უფასოთ 5).

	1868 წ.	1869	1870	1871	1872	1873—75	1876—78	1879—81	1882—85
კოჭი	384	384	677	486	266	533	533	533	147
ლატანი	700	700	700	100	100	100	—	—	—
სარი	3000	3000	3000	—	—	—	—	—	—
ჭიგო	2130	2130	3750	2187	1197	2094	1764	1764	1323
შეშა (კვ. საჟ.) .	599	555	771	496	266	431	441	431	294
ფიჩხი „ „ .	400	400	150	125	70	95	95	95	—
ჯაგი „ „ .	—	—	300	—	—	—	—	—	—
წვერო და ტოტ.	—	—	—	243	133	243	243	243	147

აფილოთ ახლა ლიხეთის აგარაკი (ჩაჭა). უფასოდ მიცემული იყო სოფლებ ლიხეთის (14 კ.) აბარის (5 კ.) და ურავისთვის ⁶⁾

	1873—75 წ.	1876—78 წ.	1879—81 წ.	1882—85 წ.
ქოში . . .	3000	69	38	38
ლატანი . . .	—	—	95	57
სარი . . .	—	4600	345	190
შეშა (კ. ს.) .	3000	92	38	76
ფიჩი (კ. ს.) .	—	69	38	33

რამდენად იყო შემცირებული რიცხვი იმ პირთა, ვისაც აძლევდნ ტყის მასალის უფასოდ მიღების უფლებას, სჩანს შემდეგიდან: ოთხმოცან წლებში მედვედევის გამოკვლევით უფასოდ ხე-ტყის მასალის მიღების უფლება ეკუთვნოდათ თბილისის გუბერნიაში 475 სოფელს, რაც შეადგენს ყველა სახაზინო გლეხთა სოფლების 50%—ს ამ გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში—99 სოფელს (20% ამ გუბერნიის სახაზინო გლეხთა სოფლების). კომლების რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, მივიღებთ, რომ სახაზინო გლეხთა საერთო რიცხვიდან უფასოდ ხე-ტყის მასალის მიღების უფლება ეკუთვნოდათ.

ახალციხის მაზრაში	2.314 კომლს (91 ს.)	ანუ 75%—ს	7)
ახალქალაქის „	— — — — —	—	8)
ბორჩალოს	2.380 კ. (47 სოფ.)	— 49%	.
თბილისის	2.969 „ (29 სოფ.)	— 60%	.
დუშეთის	3.372 „ (169 სოფ.)	— 72%	.
თიონეთის	2.738 „ (99 სოფ.)	— 50%	.
თელავის	4.078 „ (38 სოფ.)	— 84%	.
გორის	1.737 „ (51 სოფ.)	— 40%	.
სიღნალის	8.896 „ (34 სოფ.)	— 89%	.
საერთ. თბ. გუბ.	28.481 „ (558 სოფ.)	— 61%—ს.	.
ქუთაისის მაზრაში	1.144 „ (26 სოფ.)	— 15%—ს.	.
რაჭის „	1.061 „ (20 სოფ.)	— 56%	.
შორაპის „	1.380 „ (33 სოფ.)	— 33%	.
ოზურგეთის „	861 „ (17 სოფ.)	— 34%	.
სენაკის „	256 „ (2 სოფ.)	— 11%	.
ზუგდიდის „	282 „ (4 სოფ.)	— 41%	.
ლეჩეუმის (უსვანეთობ)	74 „ (5 სოფ.)	— 27%—ს.	.
საერთ. ქუთ. გუბ.	5.058 „ (107 სოფ.)	— 26%—ს.	9)

⁶⁾ მედინდებ—c. 265.

⁷⁾ ამ მაზრის სახაზინო გლეხების:

⁸⁾ ახალქალაქის მაზრაში ტყე ნარის სულ არ მოიპოვება და არც არავინ იღებს უფასოდ ტყეს.

⁹⁾ მედვებ—264, 347, 348, 314. უკანასკნელს ეს ცნობები ამოღებული აქვს ტყეის აგარაკების ხარჯთ-აღრიცვებიდან.

როცა, ამზობს იგივე მქლევარი, იძიებ შიზეზებს იმისას, თუ რად მოუსცეს ამა. თუ იმ სოფელს უფასოდ ხე-ტყის მასალის მიღების უფლება, ვერავითარ საბუთს ამისათვის ვერ ჰპოულობ და ამიტომ უნდა მიხვიდე იმ დასკვნამდე, რომ აქ ჰქონდა ალაგი პირდაპირ თვითნებობას, რადგან არაფერი სახელმძღვანელო პრინციპები ადმინისტრაციას არ ჰქონდა¹⁰⁾.

გარკვეულ სურათს იმის შესახებ, რამდენ მასალას ნებასრთავდა მმართველობა სახაზინო გლეხებს უფასოდ წასაღებად სახაზინო ტყებიდან, იძლევა შემდეგი ნუსხები, რომელიც იგრეოვე ოთხმოციან წლებს შეხება.

თბილისის გუბერნიაში დანიშნული იყო უფასოდ მისაცემათ: ¹¹⁾

კოში.	ლატა- ნი.	სარი.	ჭიგო.	შეშა (კ. ს.)	ფიჩხი (კ. ს.)	ჯაგი, წვე- რო და ტოტი (კ. ს.)
ახალციხ. მ.	2.020	5.359	—	3.382	—	474
ბორჩალ.	„	3.404	—	4.613	20	42
თბილის.	„	2.272	60	2.080	364.600	2.729
დუშეთის	„	2.424	—	12.700	6.961	125
თიონეთ.	„	4.754	3.225	22.568	157.100	8.161
თელავის	„	4.835	967	—	3.100.800	5.514
გორის	„	1.314	913	2.418	37.100	2.241
სიღნაღ.	„	9.764	120	200	1.327.800	10.430
საერთოდ თბილ. გუბ.	30.787	11.194	27.266	5.000.100	44.031	5.054 $\frac{1}{2}$
საშუალოთ ერთ კომლ.	1, $\frac{1}{2}$	0, $\frac{39}{40}$	0, $\frac{95}{96}$	175, $\frac{5}{5}$	1, $\frac{54}{55}$,0 $\frac{17}{18}$
						0, $\frac{24}{25}$

ფულად რომ ვიანგარიშოთ მთელი ეს მასალა, 1883 წლის ნიხრით. მივიღებთ, რომ საშუალოთ თითო კომლი იღებდა უფასოთ 6 მ. 76 კაპიკის მასალას.

ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქვე შესაღარებლათ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დესიატინა სახაზინო ტყე მოდის თითო იმ კომლზე, რომელსაც ნება დართული ჰქონდა ხე-ტყის მასალის უფასოდ მი-

¹⁰⁾ Медвѣдевъ—382.

¹¹⁾ ib.—264, 268.

ლება: ახალციხის მაზრაში მოდის 23 დეს., ბორჩალოს—24 დეს., თბილისის—9 დ., ღუშეთის—17 დ., თიონეთის—39 დ., თელავის—20 დ., გორის—13 დ. სილნალის—7 დ.: საერთოდ გუბერნიაში 17 დეს.

ქუთაისის გუბერნიის შესახებ ჩვენ ვიღებთ შემდეგ სურათს ¹²⁾.

	კოჭი.	ლატანი.	სარი.	შეშა. (კვ. საჟ.)	ფიჩი.	ჯაგი. (კვ. საჟ.)	წვერო და ტოტი.
ქუთაისის მაზ.	—	2.330	12,489	2.091	521	—	—
რაჭის	2.063	3.026	11.588	2.947	1.155	—	—
შორაპნის	—	462	8.399	2.404	930	752	—
ოზურგეთის	1.220	764	14.320	1.256	342½	—	—
სენაკის	202	2.020	2.020	404	—	—	202
ზუგდიდის	356	3.314	4.600	614	110	—	148
ლეჩხუმის (უს- ვანეთოთ)	140	1.160	1.160	288	—	—	70
საერთო ქუთ. გუბ. (უსვანეთ.)	3.981	13.076	54.576	10.004	3058½	752	420
საშუალოთ ერთ კომლზე	0,78	.2,58	10,78	1,97	0,6	0,14	0,08

ფულად რომ ვიანგარიშოთ ღირებულება მთელი ამ მასალის, საშუალოთ კომლზე მივიღებთ დაახლოვებით იმდენსავე, როგორც თბილისის გუბერნიისთვის,—7 მ. 78 კ;

თითო იმ კომლზე, რომელიც უფასოდ იღებდა მასალას მოდის ან რამდენი დესიატინა სახაზინო ტყის: ქუთაისის მაზრაში—54 დეს., რაჭის 44 დ., შორაპნის—28 დ., ოზურგეთის—56 დ., სენაკის—12 დ., ზუგდიდის—20 დ., ლეჩხუმის (უსვანეთოდ 35 დ.; საერთო გუბერნიაში (უსვანეთოდ) 41 დ.

თელი უფასოდ მისაცემათ დანიშნული მასალა რომ კუბიკურ საექვმდებარება გამოგხატოთ, მაშინ მივიღებთ ¹³⁾ თბილისის გუბერნიისათვის—53.648 კუბიკ. საუენს, ქუთაისის გუბერნიისათვის—13.384 კუბიკ. საჟ. საერთო ლარებულებით—ორივე გუბერნიაში 232.000 მ. რაც თითო კომლზე დაახლოვებით 2 კუბ. საუენს შეადგენს ღირებულებით დაახლოვებით 7 მან.

მაგრამ, როგორც ვთქვით, მოყვანილი ცნობები მარტო იძახე ლაპა-

¹²⁾ ib.—134, 315, 318.

¹³⁾ ფოქ. ლესნые сервитуты въ казенныихъ лѣсахъ на Кавказѣ 1913 г., стр.—3; ის სოვლის 1 კუბ. საუენში—10 კოჭს, 180 ლატანს. 1.500 სარს, 1 კ. ს. შეშას 2 კ. ს. ფიჩს, 4 კ. ს. ჯაგს.

რაკობენ, თუ რამდენი მასალა იყო ნება-დართული უფასოდ წასაღებათ; ფაქტიურად კი, როგორც ამტკიცებენ ამ საკითხის მკვლევარნი 14) სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა გამო (სიშორე, ან მიუკარებლობა დანიშნულ აგარა-კის და სხვა) სახაზინო გლეხები არ იღებდენ არც ამ ნებადართულ რაო-დენბას და დაახლოვებით მარტო ამის ნახევარით სარგებლობდენ უფა-სოდ სახაზინო ტყეებიდან.

ნება-დართული რაოდენობა უფასოდ მისაღები ტყის მასალის არ იყო საქმა (გარდა ლეჩხუმის მაზრის) გლეხთა ყველა შინაურ მოთხოვნილების დასაქმყოფილებლათ. ის, მთელი დართული რაოდენობაც რომ მიეღოთ გლეხებს, მის მოთხოვნილების ნახევარსაც ძვირათ აქმაყოფილებდა. ამასთან, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, ხახევარი გლეხობა (სახა-ზინო გლეხობაზე ვლაპარაკობთ) სრულიად მოკლებული იყო უფასოდ ტყის სარგებლობას, მაშასალამე უმეტესი ნაწილი თავისი მოთხოვნილების სახა-ზინო გლეხობას სხვა გზით უნდა დაეფარა. ბევრი რასაკვირველია ცდი-ლობდა უკანონოთ, მაღლულათ, მოეჭრა ტყე, მაგრამ მთავარი საშუალება იყო¹⁵⁾ თბილისის გუბერნიაში ყიდვა ტყის მასალის (უმთავრესათ მემამუ-ლებისაგან, რომელიც ხაზინაზე უფრო შეღავათიან პირობებში ჰყიდდნენ), ქუთაისის გუბერნიაში კი თავის „სანადელო“ წვრილი ტყით დაფარულ ნაჭრებით სარგებლობა: კლიმატიურ პირობების გამო ამ ნაჭრებზე ჟადე-ლათ და ჩქარა იზდება ტყე. (სახაზინო „სანადელო“ ტყეებზე ქვევით იქნება ლაპარაკი).

4. ჩვენ ზევით ვთქვით, რომ მთელი ეს სისტემა შესახებ სახაზინო გლე-ხების ტყეებით სარგებლობისა შემოღებული იყო აღმინისტრატიული წესით, და არა კანონმდებლობით. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მაშინ, როცა საბატონო გლეხების შესახებ იყო გამოცემული კანონები, რომელნიც დაწვ-რილებით არყვევდნენ მათ უფლებრივ მდგომარეობას, სახაზინო გლეხების შესახებ, მათ დამოკიდებულებაზე სახაზინო მიწების მიმართ, არაფერი სპეციალური კანონი არ არსებობდა. ხმარება რუსეთის გუბერნიების შესა-ხებ არსებულ კანონების, მრ შეიძლებოდა (ამასაც სკდილობდნენ), ამიერ-კავკასიის თავისებურ პირობების გამო. ამიტომ დაბოლოს მთავრობა იძუ-ლებული იყო შესდგომოდა სახაზინო გლეხების მდგომარეობის შესწავლას და საჭირო კანონების პროექტების შემომუშავებას. ეს შესწავლა მოხდა ოთხმოციან წლებში და მან მოგვცა ფრიად ძვირფასი მასალები („Сводъ матеріаловъ по изученію быта государственныя крестьянъ закавказскаго края“). მანამ დაათავებდენ ამ შესწავლას, შენაზული იყო უცვლე-ლად ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც მაშინ არსებობდა, კერძოთ რაც ეხება გლეხთათვის უფასოდ მასალის მიცემას სახაზინო ტყეებიდან, იგი

¹⁴⁾ Медвѣдевъ—Фокъ.

¹⁵⁾ Медвѣдевъ—265, 315.

იყო შენახული—იმ სახით, როგორც დანიშნული იყო 1881—82 წ. ხარჯთ-აღრიცხვით¹⁶⁾). რუსული ბიუროკრატია, როგორც ეიცით, ათეჭლ წლებს ანდომებდა რომელიმე კანონის გამოცემას და კიდევ რამდენიმე ათეულ წელს მის ცხოვრებაში გატარებას. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. მარტო 1900 წელს 1 მაისს გამოიცა კანონი¹⁷⁾, საცა ეწერა, რომ უმაღლესმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება სახაზინო გლეხების უფლებრივ მდგომარეობის გამოურკვევლობას ამიერ-კავკასიაში, რომ ეხლა განზრასულია ამ საკითხის მოწესრიგება და რომ მიწათ-მოქმედების მინისტრს ევალება შეიმუშავოს სათანადო წესები ამ საკითხზე, კერძოთ იმაზე რა პრიობებში უნდა ისარგებლონ გლეხებმა სახაზინო ტყით და რა გადაიხადონ ამაში. ამასთან ამ კანონში იყო აღნიშნული ის მთავარი საფუძვლები, რომელზედაც უნდა ყოფილიყო აშენებული გამოსამუშავებელი წესები. რამოდენიმე წლის მერე 1903 წ. 21 აპრილს—გამოიცა კანონმდებლობითი გზით ეს წესები¹⁸⁾. 17 თბილის 1903 წ. გამოიცა ინსტრუქცია ამ ორ კანონების ცხოვრებაში გატარების თაობაზე¹⁹⁾.

უმთავრესი დადგენილებანი ამ კანონების გლეხთა უფლების შესახებ სახაზინო ტყეზე არის შემდეგი.

1) ის სოფლები, დასახლებული ჸსახაზინო მიწაზე, რომელიც მეფის ნაცვლის მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვით იღებდენ ხე-ტყის მასალას საოჯახო საჭიროებისთვის, ინახავენ ამ უფლებას.

2) ამაში მათ უნდა გადაიხადონ ტყის ბაჟი— $\frac{1}{4}$ მასალის ღირებულების. მიწათ-მოქმედების მინისტრს ეძლევა უფლება შეამციროს ეს ბაჟი.

3) იქ, სადაც ტყეების სიუხვის გამო სამინისტრო შესაძლებლათ და მიზან-შეწონილათ სცნობს, აღნიშნულ სოფლებს უნდა მიეზომოს ნადელში ტყის ნაჭრები, რომელთაც მარტო ისინი ისარგებლებენ, სხვა სახაზინო ტყეებიდან კი მასალის მიცემა ამ სოფლებისათვის სერვიტუტის წესით უნდა მოისპოს. ამ სანადელო ადგილებში უნდა გადახდეს მათ ტყის ბაჟი ზევით ხსენებულ ზომის.

4) ამ სანადელო ადგილების არც გაყიდვა, არც დაგირავება არ შეიძლება. აკრძალულია აგრეთვე მათი გატეხა და სახნავ მიწათ გადაქცევა. სარგებლობის წესი უნდა დადგენილ იქმნეს სოფლის განჩინებით და დამტკიცებული მომრიგებელ შუაკაცის მიერ. ამ განჩინებაში უნდა იყვნეს აღ-

¹⁶⁾ ფიქ—стр. 2. Зактрегеръ—„О лѣсахъ Закавказья“ (докладъ секціи землекоподат. предлож.)

¹⁷⁾ Полное собрание Законовъ, собрание III—т. XX № 18509.

¹⁸⁾ Полное собрание Законовъ т. XXIII № 22322. ეს და 1900 წ. 2 მაისის კანონები შეტანილ იქმნა მერე კანონთა კრებულში. იხილეთ ტ. IX ის სამართლებრივი კანონის მიზანით და დამტკიცებული მომრიგებელ შუაკაცის მიერ. ამ განჩინებაში უნდა იყვნეს აღ-

¹⁹⁾ Гогиридзе, Положенія о сельскомъ состояніи стр. 618 сл.

ნიშნული რამდენი ტყე უნდა მოიჭრას ყოველწლიურად. ზედამხედველობა, რომ ტყის სარგებლობა ხდებოდეს დადგენილ წესით, ევალება მომრიგებელ შუაცაც.

5) სერვიტუტის შეცვლა განსაკუთრებულ ტყის ნაჭრების ნადელში მიცემით უნდა მოხდეს ამა თუ იმ სოფლებისთვის მაშინ, როცა მოხდება, საერთოდ მისთვის ნადელის გამორკვევა, მიზომვა და სათანადო ნადელის აკტის („ოთვიდნალ ვაპცე“) მიცემა. ამ საერთო მუშაობასთან ერთად, ან მის დათავების მეტე, მოხდება ტყის ნადელში მიცემა, რაზედაც შედგენინილი იქნება პლანი და ჩაიწერება საერთო ნადელის აკტში.

საქართველოში ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (სოხუმის ოლქში) არ მოხდა არც საზოგადოთ სახაზინო მიწების ფორმალურად გლეხთათვის სანადელოთ გადაცემა და პლანების და სანადელო აკტების შედგენა, არც კერძოთ ტყეების ნადელში მიცემა და ამით გლეხთა სერვიტუტის სახაზინო ტყეებში მოსპობა. მიწათ-მოქმედების სამინისტროს ჰქონდა მინდობილი, როგორც ზევით ვთქვით, იმის გამორკვევა, საჭიროა თუ არა სერვიტუტის შისპობა განსაკუთრებულ ტყის ნაჭრების ნადელში შიცემით. მაგრამ ჯერ კიდევ 1913 წელს ე. ი. 10 წლის გასვლის მეტე კანონის და ინსტრუქციის გამოცემიდან ეს კითხვა არ იყო საბოლოოდ გამორკვეული და გადაწყვეტილი. შესდგა სათანადო კომისია, რომელმაც მიიღო 1910 წელს²⁰⁾ დადგენილება სერვიტუტის შეცვლის ნადელით. ამასთან ის ანგარიშობდა, რომ თუ სატუბელად მიღებული იქნება ის რაოდენობა მასალის; რომელსაც სახაზინო გლეხები იღებდენ სერვიტუტის უფლებით სახაზინო ტყეებიდან ფაკტიურად (როგორც ზევით გამოვარკვიეთ. ფაკტიურად გლეხები იღებდენ ნება-დართულ მასალის ნახევარს,) მაშინ სახაზინო გლეხებს უნდა გამოეყოს სახაზინო ტყეებიდან ნადელში ხე-ტყის მასალის სერვიტუტის მაგიერ—თბილისის გუბერნიაში—95.000 ლეს. და ქუთაისის გუბერნიაში—23.600 ლეს.

ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა და რევოლუციის წინ. სახაზინო გლეხები სწორედ იმავე წესით ანხორციელებდნენ თავის სერვიტუტის უფლებას სახაზინო ტყეებში, როგორც ორმოციან წლებში.

IV.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, ოთხმოციან წლებში რომ ქუთაისის გუბერნიაში სახაზინო გლეხებს გამოჰქონდათ ტყის მასალა სხვათა შორის თავის „სანადელო“ ნაჭრებიდან, რომელნიც ბევრჯელ ხშირათ დაფარულია წვრილ ტყით. ჩვენ სიტყვა—სანადელო—ჩავსყით ფრჩხილებში მიმიტომ, რომ ეს ნაჭრები გლეხებს ფორმალურად არა აქვთ მიცემული ნადელში, არც სანადელო ქალალდებია მათზე გაკეთებული, რადგან საერთოდ, როგორც ვნახეთ, ნადელის შიცემა სახაზინო გლეხთათვის ფორმალურად ძეველმა მთავრობამ ვერ მოახერხა. ფაკტიურად ეს ის ადგილებია, რომელნიც სახაზინო

გლეხებს ნაყიდი კი არა აქვთ, არამედ ფლობენ უძველეს დროიდან საშვილიშვილოთ, როგორც ყოფილი მეფის და ექლესის გლეხები, ე. ი. როგორც სახაზინო გლეხები. ამ მხრივ ისინი ფაკტიურად (არა ფორმალურად) სანადელო მიწებია. აი ამ მიწათა შორის ტყიანი ადგილები შეადგენდენ ²¹⁾ თბილისის გუბერნიაში 19.000 დღეს, ქუთაისის გუბერნიაში კი—22.000 დღეს. ამ ადგილებზე გლეხებს ეკუთვნის საერთო ფაქტიური სანადელო უფლება და სარგებლობენ მით ისევე დაუშლელათ, როგორც მაგალ. სახნავი მიწებით.

ლ. ახათგანი.

(შემდეგი იქნება).

თვითმმართველობის ფინანსური უფლებები.

(გაგრძელება)

III.

რეალურ გადასახადების შესახებ ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ და ეხლა შეგჩერდეთ პრუსიაში შემოღებულ ახალ გადასახადებზედ.

ეს გადასახადებია: დაუმსახურებელ ღირებულების ზრდის გაზევვა და გადასახადი ქონების ტრიალზედ (Налогъ на обрашениe).

თვითმმართველობა თავის მოღვაწეობის აქტებით ხშირათ დიდ სამსახურს უწევს განსაკუთრებულ ჯგუფს მცხოვრებლებისას. ქალაქს გაპყავს ქუჩა, გაპყავს კანალიზაცია ამ ქუჩაზედ, გაპყავს წყალსადენი, განათება და სხვა.

ამას შედეგათ მოჰყვა ამ ქუჩაზედ მდებარე მამულების და სახლების ფასის, ღირებულების ზრდა. მესაკუთრის მამულს ღირებულება მოემატა მაშინ, როდესაც მას არც კაპიტალი და არც შრომა ამ ღირებულების ზრდაზედ არ დაუხარჯავს, მაშასადამე ეს ღირებულება არის მისთვის სრულიად დაუმსახურებელი და ეს ზედმეტი ღირებულება მამულისა იბეგრება დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში განსაკუთრებულის გადასახადით. პროფესორი ოზეროვის აზრით ეს გადასახადიც არ არის: ჯერ ქალაქი უდებს მესაკუთრეს ჯიბეში განსაზღრულ თანხას და შემდეგ ქალაქი ითხოვს მისგან ამ თანხის ნაწილს.

ამ გადასახადით დასაბეგრავათ, გზის გაყვანის, ან წყლის გაყვანის, ან სხვა რამე გაუმჯობესობის შემდეგ, შეფასებული უნდა იქნას ახლომახლო მდებარე უძრავი ქონებანი და გამოირკვეს მათი ღირებულება გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ. განსხვავება ძველსა და ახალ შეფასე-

²¹⁾ Сборникъ статистическихъ данныхъ о землевладеніи и способахъ хозяйства подъ ред. Кондратенкo 1899 г. стр. 9 п 11.

ბის შორის იბეგრება განსაკუთრებულის გადასახადით, რომელსაც გერმანიაში უწოდებენ „Beitrahе“. ამრიკის ქალაქებმა ასეთი გაბეგვრა ქალაქების შემოსავლის ერთ უდიდეს წყაროთ აქციებს.

საქმე იმაშია, რომ ქალაქის მოღვაწეობა თანდათან ვითარდება, მაშასადამე, განსაკუთრებული ჯგუფები დაუმსახურებლივ გამდიდრდებიან, ასეთი დაუმსახურებელი გამდიდრება კი სრულიად ეწინააღმდეგება სოციალურ სამართლიანობას, ამიტომ ქალაქებმა უნდა მოითხოვონ ამგვარ მესაკუთრეთაგან დახარჯული თანხის ნაწილის ანაზღაურება, რაიც საშუალებას მისცემს ქალაქს უფრო მეტად გააუმჯობესოს მცხოვრებთა მდგომარეობა.

მეორე გადასახადი უძრავ ქონების ტრიალზედ (на обращениe), როგორც პირდაპირი გადასახადი დამყარებულია პირდაპირ გადასახადთა ბუნებაზედ. გადასახადთა კომბინაცია მაშინ არის დამაქმაყოფილებელი, თუ იბეგრება ყოველგვარი შემოსავალი. მიუხედავათ ამისა, შემოსავლის ზოგიერთი კატეგორიები დაუბეგრავნი რჩებიან. მაგალითად ავიღოთ ასეთი შემთხვევა: გაიყვანა ქალაქმა ტრამვაი რომელსამე ქუჩაზედ, მაშასადამე ამ ქუჩაზედ მდებარე მამულის ლირებულება გაიზარდა ორჯერ ან სამჯერაც. ქალაქმა შეაფასა მამული დაუმსახურებელ ლირებულების დასაბეგრავათ, მაგრამ ამ შეფასების შემდეგ მამულის პატრონმა ეს მამული გაჰყიდა და იღლო იქიდგან შეფასების თანხაზედ მეტი. ასეთი შემთხვევები ხდება ჩვეულებრივ დროსაც, როდესაც ქალაქს მაინც და მაინც დიდი გაზიჯობებება არ მოუხდენია. სხვა მრავალ მიწეზთა შორის ერთი უმთავრესთავანი, ამგვარ შემთხვევებში, არის კაპიტალის მოთავსების სურვილი. რომელსამე სპეცულიანტს, შემთხვევით გამდიდრებულს, სურს თავისი კაპიტალი. მოათავსოს უშიშარ ადგილს, რის გამო ის მზაო არის ლირებულებაზედ მეტიც მისცეს სახლის პატრონს, რომ თავისი კაპიტალი უძრავ ქონებათ აქციოს. ამისთანა შემთხვევები განსაკუთრებით ბევრია ჩვენს დროში.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს. როგორ სწრაფად იზრდება უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები და რამდენათ დიდი განსხვავება არის შეფასების რაოდენობასა და სავაჭრო ფასებს შორის.

წლები.	გაყიდულ ქონებათა რაოდენობა.	შეფასება.	ნასყიდობის ფასი.	%
1914	121	1,350.511	2.152.387	60
1915	99	738.786	1.464.670	80
1916	159	2.126.112	4.433.736	108
1917	178	2.615.666	7.820.147	329

მაშასადამე, ის შემოსავალი, რომელიც მიიღეს სახლის პატრონებმა ქონების ზედმეტ ფასის სახით, ე. ი. განსხვავება შეფასებასა და ნასყიდობის ფასს შორის 1917 წელს უდრის 5.204.481 მან. და ეს თანხა რომ იბეგრებოდეს ქალაქის სასარგებლოდ თუნდა 10% მისცემს 520,448 მანეთს.

უფრო თვალსაჩინო სურათს წარმოადგენს 1919 წლის განმავლობაში უძრავ ქონებათა ხელიდან ხელში გადასვლის შესახებ ციფრები.

გაყიდულა სულ ქ. თბილისში 694 მამული. ყიდვა-გაყიდვის აქტი კი შემდგარა სულ 739, აქტან სჩანს, რომ ზოგიერთი მამული ორჯელ და მეტათ გაყიდულა ერთი წლის განმავლობაში.

ეს 694 მამული შეფასებული იყო 7.952.125 მანეთათ, გაყიდულა კი 67.973.687 მან.

განსხვავება შეფასების თანხისა და ნასყიდობის თანხის შორის, ე. ი. 67.973.687—7.952.195=60.021.492 მ. რომ გაბეგრილიყო თუნდა 10% ქალაქს ექნებოდა 1919 წელში 6.002.149 მან.

თუ კერძო მამულების ტრიალს მივაქცევთ უურადლებას განსაცვიფრებელ სურათს ვნახავთ: მეორე უბანში მამული, ქალაქის წიგნებში № 626 ჩაწერილი გაიყიდა 1919 წ. განმავლობაში სამჯერ, ეს მამული შეფასებული იყო 68.796 მანეთად. პირველმა მყიდველმა გადიხადა ხსენებულ მამულში 140.000 მან. ახალმა პატრონმა გაყიდა ორი თვის შემდეგ და აიღო 650.000 მან. ე. ი. 510.000 მან. მოიგო, ხოლო ორი თვის შემდეგ უკანასკნელმა პატრონმა გაყიდა იგივე მამული და აიღო 900.000 მან. ე. ი. 250.000 მან. მოიგო.

მეხუთე უბანში მამული № 492 შეფასებული იყო 39.000 მან. ხოლო გაიყიდა 200.000 მანეთად, ამავე უბანში № 894 შეფასებული 9.000 მანეთ. გაიყიდა 150.000 მ. მესამე უბანში მამული № 658 შეფასებული 34.720 მ. გაიყიდა 1.080.000 მ. იმავე უბანში № 273 100.524 მან. შეფასებული გაიყიდა 3.647.000 მან.

მერვე უბანში № 790 39.780 მან. შეფასებული გაიყიდა 1.300.000 მან. და სხვა.

ეს ზედმეტი თანხა შეაღენს მესაკუთრის შემოსავალს, რომელიც არაფრით არ იბეგრება. აი ეს დასაბეგრი ობიექტი, რომელსაც გადახდება ეგრედ წოდებული ქონების ტრიალზედ გადასახადი.

მაშასადამე, ქონების ტრიალზედ გადასახადი გულისხმობს გადასახადს იმ შემოსავალზედ, რომელსაც იღებს ქონების მესაკუთრე მამულის გაყიდვის დროს, თუ ეს მამული უკანასკნელ შეფასების თანხაზე მეტად გაიყიდა და ბეგრადს მამულის გაყიდვით აღებულ თანხის იმ ნაწილს, რომელიც აღმატება შეფასების თანხას.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ზოგი მამული ხშირათ იყიდება და, მაშასადამე, ეს გადასახადიც ხშირად გადახდება მას, ზოგი კი ხანგრძლივ

იმყოფება მესაკუთრის ხელში, მაშასადამე, ეს უკანასკნელი მამული პრიველებიურ პირობებში იქნება ჩაყენებულიო, მაგრამ ამ შემთხვევასაც გაუწია ანგარიში პრუსიის სისტემაზ და ქონების ტრიალზედ გადასახადი სვალა-სხვანაირი დაწესა იმის მიხედვით, თუ რამდენი ხნის განმავლობაში არ გაყიდული მამული. აგრეთვე სხვა-და-სხვანაირი გადასახადია პრუსიაში გაუშენებელ და გაშენებულ მამულის ტრიალზედ. გაუშენებული მამულის ტრიალზედ გადასახადი ბევრათ ნაკლებია ვიდრე გაუშენებელზედ. აქ ეს გადასახადი სოციალურ პოლიტიკის გასატარებლად საუკეთესო საშუალებათ იქცა და ამ გადასახადის წყალობით გაუშენებული მამულის გაშენება პრუსიაში დაჩქარებული ტემპით ხდებოდა კომუნალურ ფინანსების რეფორმის გატარების შემდეგ.

ამ გადასახადს ერთი კარგი თვისება აქვს კიდევ. ის ხელს უწყობს უძრავ ქონებათა სამართლიან შეფასებას. თუ მემამულემ თავისი ქონების ღირებულება ნაკლები აჩვენა იმ მოსაზრებით, რომ გადასახადი ნაკლები გაიღოს, სამაგიეროდ ბევრს იხდის მამულის გაყიდვის დროს, ქონების ტრიალზედ გადასახადის სახით.—თუ ნამდვილ ღირებულებაზედ მეტათ შეაფასებს თავის მამულს, რომ მის გაყიდვის დროს ნაკლები გადაიხადოს სამაგიეროთ შესაფასებელს მეტს გადახდის და, მაშასადამე, ის იძულებული იქნება მამულის ნამდვილი ღირებულება აჩვენოს.

ამგვარად ოვითმმართველობის ფინანსების მტკიცე საფუძველზედ და-საყიდებლად სხვათა შორის საჭირო იქნება შემოვილოთ ახალი გადასახადები: დაუმსახურებულ ღირებულების ზრდაზედ და ქონების ტრიალზედ.

IV

დიდი ყურადღების ღირსია ქალაქის საბიუჯეტო უფლებების შემუშავების დროს ეგრედ წოდებული „სპეციალური გადასახადი“, რომელიც მოხსენებულია არსებულ კანონის 29 მუხლში. ეს გადასახადი დროებითი ხასიათისა არის და გულისხმობს აუნაზღაუროს ქალაქის ის ხარჯები, რომელიც მან გასწია რომელიმე უბნის და არა მთელი ქალაქის უკეთეს მოწყობისთვის. მაგალითად, ვთქვათ, რომელსამე უბანში რამდენიმე სახლის წინ არის მოედანი ძველი ნანგრევებით. ამ ნანგრევების არსებობის გამო ამ უბნის მცხოვრებლები იძულებული არიან ქალაქში მისასვლელად შორის მოუარონ. მაშასადამე, ერთი მხრით, მუდამ ნანგრევების ცქერა, მეორე მხრით, ამ ნანგრევებით გამოწვეული უხერხულობა უნდა აცილებულ იქნას, ამას მოითხოვს. ამ უბნის მცხოვრებათ ინტერესები და არა მთელი ქალაქისა. თუ ქალაქი აქ მოედანს გასწინდავს, იგი აკეთებს იმ საქმეს, რაც უნდა გაეკეთებინათ ამ უბნის მცხოვრებლებს. მაშასადამე ქალაქის მიერ მოედნის გაწმენდისათვის გაშეულ ხარჯებში უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ უბნის მცხოვრებლებმა და თავისი ჯიბიდან დაფარონ, თუ მთელი არა,

ნაწილი მაინც გაწეული ხარჯისა. ამგვარ გადასახადს დროებითი ხასიათი აქვს და უნდა გაუქმდეს მაშინ, როდესაც ქალაქი აინაზღაურებს მთელ ხარჯს ან მის ნაწილს, როგორც ეს იქნება გადაწყვეტილი ქალაქის საბჭოს მიერ, მაგრამ მოედნის გასუფთავებას, მის გამშვენიერებას, უხერხულობის მოშორების შემდეგ, მოჰყვა ამ უბანში მდებარე მამულების ლირებულების ზრდა და ეს გაზრდილი ლირებულება დაიბეგრება ქალაქის სასარგებლოდ მუდმივი გადასახადით. მაშასადამე, სპეციალური გადასახადი ის არ არის, რასაც უწოდებენ „გადასახადს ლირებულების ზრდაზე“ ქალაქის ასეთი სამსახური შეიძლება შევადაროთ შემდეგ მოვლენას: ქალაქმა ქუჩაზედ გაიყვანა წყლის მაგისტრალი, მაშასადამე შესაძლებელი გახადა სახლის პატ-რონებისათვის წყლის გაყვანა მაგისტრალიდან სახლში. სახლის პატრონი სურვილს აცხადებს წყალი შეიყვანოს სახლში და ამ სურვილის განსახორციელებლად მიმართავს ქალაქის თვითშემჩრთველობას, როგორც ისეთს დაწესებულებას, რომელსაც ამისი შესაძლებლობა აქვს. ქალაქს გაძყავს წყალი, მაგრამ გაწეულ ხარჯებს ახდენებს სახლის პატრონს. იმ გარემოებით, რომ სახლში წყალი გაყვანილია, სახლის ლირებულება გაიზარდა; მართალია, სახლის პატრონმა ქუჩიდან სახლამდის წყლის გაყვანაზედ ფული დახარჯა, მაგრამ ისე მცირედი რამ დახარჯა მან, რომ ამითი სახლის ლირებულებას არაფერი არ უნდა მომატებოდა. თვით შესაძლებლობა წყლის გამოყვანისა შექმნა ქალაქმა, რომელმაც მაგისტრალი ქუჩაზედ გამოიყვანა, მაშასადამე მამულის ლირებულების ზრდაში დამსახურება მაინც ქალაქს მიუძლვის და მისი დაბეგვრის უფლება ქალაქს აქვს, მიუხედავათ იმისა, რომ სახლის პატრონმა თავის ხარჯზედ წყალი ქუჩიდან ეზოში გაიყვანა.

თუ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი კერძო პირისათვის, ასეთივე უნდა იყოს რომელიმე ჯგუფისათვის.

მაშასადამე, სპეციალური გადასახადი არ არის გადასახადი დაუმსახურებელ ლირებულებაზედ და მათი პარალელური არსებობა შესაძლო და სასურველია.

საზოგადოებრივ მეურნეობაში გაწეულ ხარჯების ნაწილის გადატანა იმ პირებზედ, რომელთა მდგომარეობა ამ ხარჯების გაწევით სხვებზედ მეტად გაუმჯობესდა, ხშირია პრუსიაში, ამერიკაში და ინგლისში. ასეთ განაწილებას ხარჯებისას გადასახადი არ უნდა ერქვას, თუმცა ქალაქის როგორც ფინანსისურ სისტემაში, ისე მუნიციპალურ პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს და ცნობილია „სპეციალურ გადასახადის“ სახელწოდებით.

ამ გადასახადის წყალობით ადგილდება ქალაქის გამშვენიერება-გალა-მაზება, უკეთესი მოწყობა უბნისა სანიტარიის და ჰიგიენის მხრივ, მაშასა-დამე, მუნიციპალურ პოლიტიკაში მას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ არსებული საქალაქო დებულება ამ გადასახადსაც ისეთს პირობებში აყენებს, რომ მას რამე თვალსაჩინო სარგებლობის მოტანა ქალაქისათვის

არ შეუძლია. ეს გადასახადიც, როგორც უველა სხვა, საქალაქო დებულებით განსაზღვრულია წინდაწინ და რაც უნდა დიდი თანხა გაიღოს ქალაქმა რომელიმე უბნის გამშვენიერებაზედ, ქალაქს უფლება აქვს აიღოს მხოლოდ ამ რაიონში მდებარე უძრავ ქონებათა წმინდა შემოსავლის 10% ან მათი ღირებულების 1 %. ეს გარემოება მეტად ბორკავს ქალაქის თვითმმართველობას და სურვილს ანელებს.

გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის გაუქმება ამ გადასახადის მაქსიმალურ ნორმებისა. ქალაქს თვითონ უნდა ჰქონდეს უფლება განსაზღვროს. სპეციალურ გადასახადის რაოდენობა, მაგრამ ეს გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს იმ ხარჯებს, რაც გასწია ქალაქმა ამა თუ იმ გაუმჯობესებაზედ. ამ გზით თვითმმართველობას შედლება მიეცემა აწარმოვოს ფართო აღმშენებლობითი მუშაობა ქალაქის მცხოვრებთა საკეთილდღეოთ.

V

არსებულ საქალაქო დებულების 41 და 82 მუხლი თვითმმართველობას უფლებას აძლევს აკრიფოს თავის სასაჩინო გადასახადი (ქვართიშვილი შალოგე) და ქალაქში შემოტანილ საქონელზედ საფუთო გადასახადი (პიუდიშვილი ებირა).

პირველი ამ გადასახადთაგანი არის სურროგატი შემოსავლის კვალობაზედ გადასახადისა. როდესაც სახელმწიფოს ფინანსიური სისტემა ჯერ კიდევ სრულიად მოუწყობელი იყო, გადასახადი შემოსავლის კვალობაზედ არ არსებობდა—სახელმწიფო სარგებლობდა საბინაო გადასახადით და ბინის ქირის მიხედვით ბეგრავდა მოქალაქეს სახელმწიფოს სასაჩინო გადასახადით. ბინის ქირა არაფრით არ არის შემოსავლის მაჩვენებელი, შეიძლება დიდი შემოსავლის პატრონს იაფ-ფასიანი ბინა ეჭიროს და წინააღმდეგ. ბინის ავკარგიანობა უფრო მისი პატრონის კულტურის საზომია, ვინემ შემოსავლის, ამიტომ მას არავითარ შემთხვევაში შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის მაგიერობა არ შეუძლიან. მით უმეტეს მეტია ამ გადასახადზედ ლაპარაკი დღეს, როდესაც შემოსავლის კვალობაზედ გადასახადი უკვე შემოღებულია. სახელმწიფომ ამ გადასახადზედ უარი სთქვა თითქმის ყველგან, თვით ჩამორჩენილ რუსეთშიაც კი და უკანასკნელმა საქალაქო კანონმდებლობამ რუსეთში ეს გადასახადი გადასცა ქალაქის თვითმმართველობათ.

თუ ქალაქს მიეცემა უფლება შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის გადიდებისა, მაშინ ქალაქმაც უარი უნდა სთქვას საბინაო გადასახადზედ და კმაყოფილდებოდეს მხოლოდ შემოსავლის კვალობაზედ გადასახადით.

მეორე გადასახადი, ეგრევ წოდებული საფუთო, ისეთივე სურროგატია საჩერტო გადასახადისა, როგორიც საბინაო გადასახადი სურროგატია შემოსავლის კვალობაზედ გადასახადისა.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ძველი მუნიციპალური მოღვაწენი საფუ-

თო გადასახადის შემოღებას ასაბუთებდნენ იმით, რომ ვაჭრობა-მჩერწველობა სკვეთავს და აფექტებს ქუჩებს და ქვაფენილს და საფუთო გადასახადის შემოსავლით ფიქრობდნენ ქვაფენილების შეკეთებას და რემონტს; ჩვენ ვითხოვთ სარეწაო გადასახადის ქალაქის სასარგებლოდ გადაცემას სწორეთ იმ მოსახრებით, რა მოსაზრებითაც ფიქრობდნენ საფუთო გადასახადის მომსრუნვი მის შემოღებას. მაშასადამე, თუ ქალაქს გადაუცემა სარეწაო გადასახადი, ქალაქს აღარ ექნება საფუძველი საფუთო გადასახადის დატოვებისა ქალაქის ფინანსიურ სისტემაში და იგი უნდა მოხსინას.

ამგვარათ, შემოსავლის კვალობაზედ ქალაქის სასარჯებლოდ ნორმების დაწესების უფლების თვითმმართველობისათვის გადაცემის შემდეგ უნდა გაუქმდეს საბინაო გადასახადი და სარეწაო გადასახადის გადაცემის შემდევ უნდა გაუქმდეს საფუთო გადასახადი.

VI

თვითმმართველობის საბიუჯეტო უფლებების განხილვის დროს მრავალი საზოგადო მოღვაწე განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს მუნიციპალურ წარმოებათა გაძლიერებას და ამ დარგიდან შემოსავალს. ქ. პეტერბურგის საფინანსო და სარევიზიო კომისიებმა 1913 წელში აღნიშნეს, რომ წარმოებათა შემოსავალი ჰყარავს ქალაქის უუფლებობას (პეტერბ. ქალ. საბჭოს მოამბე 1913 წ. გვ. 3008) და შემოსავლის ამ წყაროდან ქალაქს საშუალება ეძლევა დაფაროს სხვა მრავალი საჭიროებანი. ასევე აღტრითოვანებით აღნიშნავს წარმოებათაგან შემოსავლის მნიშვნელობას „თანამედროვე მეურნეობა“ ქ. მოსკოვისა (იხ. გვ. 276).

როგორც პეტერბურგი, ისე მოსკოვი და სხვა რუსეთის ქალაქები უკანასკნელი ათო-თხუთმეტი წლის განმავლობაში სწრაფათ იზრდებოდნენ როგორც მცხოვრებთა რიცხვით, ისე კულტურულად და, მაშასადამე, თვითმმართველობათა მოვალეობანი როცხლდებოდნენ და მრავლდებოდნენ, უფლებრივი მდგომარეობა კი ძველი რჩებოდა. ვადასახადთა სისტემა არ იცვლებოდა, მაშასადამე, გამოსავალი უნდა ეძიათ მუნიციპალურ წარმოებათა შემოსავლის გაძლიერებაში.

უველა საზოგადოებრივ წარმოებას თან სდევს სოციალურ პოლიტიკური მნიშვნელობა, მას მიზნათ აռ უნდა ჰქონდეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესება სანიტარიის და ჰიგიენის მხრივ, მოსახმარ საქონლის გაითვება და გაჯამსაღება. თუ წარმოებას ეს ძირითადი თვისება დაიკარგა— იგი საზოგადოებრივ წარმოებათ აღარ ჩაითვლება და ჩვეულებრივ, კერძო პირის წარმოებისაგან აღარაფრით არ განსხვავდება. ეს ძველმა მუნიციპალურნა მოღვაწეებმაც იცოდნენ, მაგრამ ნაწილი მათგანი სრულიად შეგნებულად ცდილობდა ქალაქის ხარჯებისათვის საჭირო თანხა ამოეწურა მცხოვრებლებთაგან არა პირდაპირი გადასახადის სახით, მუნიციპალურ წარმოებათაგან შემოსავლის გაღიღებით, რომ მით შესაძლებელი გაეხადა

მესაკუთრეთა განთავისუფლება დიდი გადასახადისაგან. თუ წყლის ფასი, სასაკლაოზედ საქონლის დასაკლავი ფასი, ტრამვაის ტარიფი გადიდებული იქნებოდა და ქალაქის მოთხოვნილებანი ამ გზით დაკმაყოფილებულ იქნებოდნენ დასაფასებელი გადასახადის გადიდება საჭირო აღარ იქნებოდა, აი ამ მოსახრებით დიდი ნაწილი ხმოსნებისა სრულიად შეგნებულად ადიდებდნენ წარმოებათა შემოსავალს, ხოლო მეორე პატარა ნაწილი, თუმცა გულის ტკიფილით, მაინც ამას ჩადიოდა, რადგან სწერ გამოსავალს ვერა ხედავდა და ამ ნაწილს შეგნებულად მუნიციპალურ წარმოებათა სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა მსხვერპლად მოჰკონდა ქალაქის სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. დღესაც ბევრი საზოგადო მოღვაწე მუნიციპალურ წარმოებას უყურებს, როგორც ქალაქის ცარიელი კასის შესახებ საშუალებას და სრულიად უყურადღებოთ სტოკებს მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ასეთი შეხედულების ბუნებრივი დასკვნა იქნება გაძლიერებული ფისკალიზმი, რაც თანდაყოლილი თვისება იყო ძველი საბჭოს; ვიწრო კლასიური შემადგენლობისა.

დღესაც ქალაქების უკიდურესად გაჭირებული ფინანსიური მდგომარეობა, მის მესხვეურებს ისეთს მდგომარეობაში აყნებს, რომ იგინი იძულებული არიან გაადიდონ წარმოებათა შემოსავალს, რომ თავი დაალწიონ აუტიანელ გაჭირებს და კარისტროფას, ამიტომ არის, რომ საზოგადოება ცხადლივ უკმაყოფილო ქალაქის მოღვაწეობით და ყოველგვარ მუნიციპალიზაციას უარყოფით ხედება იგი.

ად. ვაგნერის აზრით თვითშეართველობას თვის წარმოებათა ექსპლუატაცია სხვა-და-სხვანაირად შეუძლია შემდეგის პრინციპების მიხედვით: პირველი წმინდა ზირალის პრინციპით, ეს პრინციპი გულისხმობს წარმოების ისეთს ექსპლუატაციას, როდესაც არც მიმდინარე ხარჯებს და არც დაარსებაზედ გაწეულ ხარჯებს ქალაქი არ აინაზღაურებს. მაშისადამე, გულისხმობის წარმოებით სრულიად უსასყიდლოთ სარგებლობას ყველასაგან.

მეორე პრინციპით ხარჯების ან მისი ნაწილის ანაზღაურება.

მესამე მოგების მიზნით, რომელიც კერძო მეურნის მოგებას არ აღემატება და მეოთხე კერძო მეურნის მოგებასედ მეტი მოგების მიღების სურვილით.

პირველი პრინციპით წარმოების ექსპლუატაცია დიდს მსხვერპლი ითხოვს ქალაქისაგან, და, გარდა ამისა, უცილებელი იქნება კოლიზია წარმოებით ვინც სარგებლობას და ხარჯების გადამზღველთა შორის, რადგან წარმოებას, ამ შემთხვევაში, არსებობა შეუძლიან მხოლოდ ხარჯოგადამზღველების ხარჯზედ. ამიტომ ეს პრინციპი უარყოფილ უნდა იქნას ყოველსავე შემთხვევაში.

ქალაქი ფაქტიური მონაბორისტია შეგ. წყალსადენისა, სასაკლაოსი, ტრამვაისი და სხვ., ამიტომ ის კონკურენციის გარეშე დგას და თუ იგი სათუთად არ მიეცყრო თავის წარმოებათ, მტკიცეთ არ დაიცვა მათ სო-

ციალ პოლიტიკური როლი, ფინანსურის მიზანი უსაშილვროდ შეიძლება გაძლიერდეს და წარმოებამ ქალაქის ხელში მისი შიზნის და ღანიშნულების საწინააღმდევო მიმღინარეობა მიიღოს.

მუნიციპალური წარმოების ექსპლუატაციის პრიმურპები სამარა-და-სხვა-ნაირი უნდა იყოს თვით წარმოების და ნაწარმოების ხასიათსა და თვისების მიხედვით.

ზემო მოყვანილ დანარჩენ წარმოებათა ექსპლუატაციის სამ პრინციპში უკანასკნელი ე. ი. კერძო მეურნეობაზე მეტი მოგების მიღების სურვილი ყოველივე შემთხვევაში უარყოფილ უნდა იქნას, რადგან ამ სურვილს შედეგათ უსათუოდ მოსდევს თვით წარმოების განადგურება, რომ არაფერი ვთქვათ ასეთი წარმოების ეთიურ უსაფუძღლობაზედ. დანარჩენი ორი პრინციპი კი მისაღებია თვითმმართველობისათვის იმის მიხედვით თუ რას და როგორ აწარმოებს იგი. ქალაქს, რომ საკუთარი ფირმა პქონდეს და რეგს აძლევდეს ავათმყოფ ბავშვებს—აქ მოგების სურვილს აღვილი არ უნდა და პქონდეს. აქ ქალაქმა მხოლოდ დანახარჯი უნდა აინაზღაუროს და უკეთესი იქნება. თუ ამ ხარჯსაც მთლიანად არ აინაზღაურებდეს. თუ იგივე ფერმა ფართო მასშტაბისა იქნება და ბავშვების დაგმაყოფილების შემდეგ მას კიდევ რჩება რე და ამ დანარჩენ რეგს საკანდიტროებს აწვდის, მაშინ მოგებასაც ადგილი უნდა პქონდეს. მაშასადამე, წარმოების თვისებასა და რაოდენობაზედ არის დამოკიდებული ექსპლუატაციის პრინციპი.

საზომადოთ კი მუნიციპალური პოლიტიკა იმას ითხოვს, რომ რაც უფრო ფართო მასისიათვის არის საკირო ნაწარმოები, იმდენათ უნდა შესუსტდეს ფინანსიური მომენტი და მეტი ყურადღება მიექცეს წარმოების სოციალ პოლიტიკურ ხასიათს. ყოველივე შემთხვევაში კი არ უნდა აღმატებოდეს ჩვეულებრივ კომერციულ სარგებელს.

დღევანდლამდინ თვითმმართველობანი მოღვაწეობის მთავარ მიზნათ ისახავდნენ მცხოვრებთა პირები საჭიროებათა დაგმაყოფილებას. ასეთები არის: წყალი, ხორცი, პური, განათება და სხვა.

ქალაქის წარმოებანიც ამას არ გასცილებიან და თუ აქვს რაიმე წარმოება ქალაქს იგინაც ფართო შასის უპირველეს მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. მაშასადამე, თუ პირველ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი წარმოებანი, ჩვეულებრივ კომერციულ სარგებელზედ მეტს მოგებას არ უნდა იძლეოთნენ და ქალაქს კი უმრავლესად ასეთი წარმოებანი აქვს; მაშასადამე, წარმოებათა შემოსავალს არ შეუძლია ქალაქის ბიუჯეტში რაიმე თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს.

ცოლაბი ადგილზე ჩილან.

დუშეთის მაზრის მთვარეები:

(გაკვრით).

დიდი ხანი არ არის ოც წარმლიშვნენ ერობები და უკვე დაიწყო მათი შეჯიბრება შემოქმედების ასპარეზზე. ყველა ცლილობს რაც შეიძლება მეტი გააკეთოს, თავი გამოიჩინოს, აჯობოს თანამომებელი ერობას, დაკრის პირველობის რეკორდი. კეთილშობილი და წმიანალისებრელია ასეთი მეტოქეობა. ეს დაპირისპირება იწვევს ყველა ძალების მობილიზაციას. იგი ააღმასებს და ატაკესებს სასოგადოებრივ ორგანიზმის ნებისყოფას. შეჯიბრება, ძველია როგორც თვით ისტორია, იგი კვლავაც მამოძრავებელი პულსი იქნება. იგი თავმდებია დაუშრეტელი მუშაობისა და მოძრაობისა. აშმორებულ ჭაობად გადაიქცეოდა ჰეეყანა, ცხოვრებაში რომ არ ყოფილიყო ეს შეჯიბრება.

მინდა ერთი მაზრის ერობაზე ჩამოვაგდო სიტყვა, მაგრამ არავის მოქანება სალებავები მისს შესაქებად, არავინ აუმეტესველებისა მას სიჩემავეში დაბადებულს და რა ქნას, როთა მოიწონოს თავი... ვით მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში?!

ერობათა შემოქმედების ცეცხლი ტრიალებს სულითა და ხორცით საღორგანიზმში და საღა აქვს საამისო თავი დუშეთის მაზრას, როცა ის ღარიბია და მწირი.

სავალალო ის არის, რომ იგი არ არა იმ გაუკულმართებული, მუნებისა რომელიც ვერაფერს ვერ ითვისებს ფარსაგად... მას აქვს სული დიადი და გული მგრძნობელი, მაგრამ აკლია სითბო და სინათლე, ურომლისოთაც პარტაზად იქცევა თვით ედემი მარად უჭირნობი.

დუშეთის მაზრა ასლია მთელი საქართველოსი. ოდესლაც აქ აყვავებული იყო საქართველოს შემოქმედების მდელო, დღეს კი იგი გააძრტახებულია... დადისარ მაზრაში, გინდა აწმყოს სანუგეზო სურათზე ვაასერო ძებნით მოქანცული თვალი და არა სჩანს იგი არსად... მხოლოდ დიად წარსულის ნაწყვეტები—ნანგრევები გარბიან ჩვენს წინ და ხავს—მოდებულ ხმით ჩაგდებიან იმ ამბებს, რომლითაც ამაყობდა ოდესლაც მთელი საქართველო.

აი მცხეთის და სამთავრისის ტაძრები... აი არმაზი, სარკინეთი, უუქველესი ქალაქი წიწამური, აი პომების ხიდის ბურჯები... აი სამთავრისის ველი, რომლის საფლავებიდან ამოლებული ნივთები მეტყველებენ, რომ ეს სასაფლაო არის რკინის პერიოდისა, ესე იგი მე 10-ე მე-11-ე საუკუნისა ქრისტეს დაბადებამდის...

აი მოსახლეობა მყოფი ჯერის საყდარი—განსაცვიტრებელ ქანდაკებებით; აი ზედაზენი... აი ძველი წილკანი, დუშეთი, ბაზალეთის ტბა, ენგვანი—ანანური, ქსნის წეობის უკვალავი მონასტერ-სასახლენი... აი სტეფანწმინდა.

აი დარიალის კარები და მისი სიმაგრე თამარის ციხე-კოშკი...

შველა ეს აღგილები მოწმე არიან საქართველოს ლიტანიისაც და დაქვერივებისაც... ამ ციხე-კოშკებიდან გამოიყურებოდნენ როგორც გამარჯვების ცეკვლით გაბრწყინვებული თამარის, ისე კრწანისის ცელზე სმალ ვალატებილ და ანანურის ციხეს შეფარებულ ირაკლის აცრემლებული თვალები.

აი მთიულეთ-ხევი. აქაური მქეიდრნი იყვნენ, რომელნიც კლდესავით ურყევლდ იდვნენ დარიალთან და, მიუხედავად იმისა, რომ უანგარიშორმებს ქარტეხილის სიძძაფრით გაუვლიათ კადკასის ქედზე, მთიულმოხვევებს დარიალის კარები მაინც არავისთვის დაუნებებიათ.

აი სამწედრო გზა, იგი იყო თანამედროვე და მოწმე მთიულეთის ამზადებისა... მან იცის, თუ რა საბრავო თავებამოდებით შეება მთა იმ რუსთა შხედრაბას; რომელიც მოდიოდა და სთელავდა ერის ლირსებას, სინიდის, ნამუს.

ძალიან ძეირად დაუსცამდა აბუჩად ამკლებს, რაც უნდა თოთ-ზარბაზნებით და ლავეშილი კაზაცებით უოფილიყო ზურგ-გამაგრებული, რომ ციხე შივნიდან არ გატეხალიყო... იუდას აჩრდილის სასით ამბოხებულებს მოეცლინენ ქსნის ერისთავიანნი და ზურგში მახვილები ჩასცეს თავის თანამემამულეთ, მარტო იმიტომ, რომ გულმკერდი დაემშვენებინათ ლალატით მოპოვებულ ჩინ-ორდენებით...

დამარტედა. მთიულეთი და გადაიბუგა შურის მაძიებლებისაგან.

დუშეთის მაზრის მაების სამო შრიალით დაუტკბიათ და უარებიათ მაზრის პირმარტინი და მოყვასნი: ძაგნაკორელი, დავით გურამიშვილი, გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი, და შიო არაგვისპირელი.

კიდევ ბევრი ამზის მოგონება შეიძლებოდა და ყველა ის იქნებოდა წარსულის ნაკვთი. დღევანდელი მაზრა კი საწყალობელია და ვერ ერება ერობათა მარაქაში.

ობლიბისა და მწირობაში შეიფას მაზრას დაბრეცილი აქვს თვალები სხვისა შემყურეობით და მარტი ის-ლა ანუგეშეს, რომ ობლის კვერი მართალია დიდი ხანია ცხვება, მავრაბ ვინ იცის, იქნება გასჭრას ბედშა და ბოლოს მაინც რიგიანი გამოცხვეს.

ორ ძიძას შეუა ბავშვი გაიჰყოლიტაო—ნაოქვაშია და სამწუხაროდ ასეთ ბავშვად გადაიქცა დუშეთის მაზრა...

მასზე ზრუნვა მართებდა მთავრობას, მაგრამ მან სრულიად სამართლიანად ბევრი რამ, რასაც აღრევ თვით აკეთებდა, გადასცა ერობებს. ამით საერთოდ ჩეუნ რესპუბლიკამ კარგა მოიგო. საზოგადოება აშენდა

და ცენტრალიზმი, რომელიც ხშირად ჰკლავს ხოლმე პროფესიათა შემოქმედებითს უნარს და ადამბლავებს, აცილებულ იქნა. თუ კარგი იყო გამიჯვნა და განაწილება მოვალეობათა მთავრობისა და ერობებს შორის—კერძოთ დუშეთის მაზრას, ჩემის ფიქრით, უფრო დააკლო, შეველის მაგივრად.

დუშეთის მაზრა ღარიბია როგორც ინტელიგენტურ ისე სხვა ძალებით იყი ვერ დაეყრდნობა საკუთარ ძალებს. იგი მთლად გაიყინება, თუ მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია...

ერობა შთელი ხალხის ორგანიზაცია... იგი პირამიდასავით არის აშენებული, რომლის წვერზე ერობის გამგეობაა ხელმძღვანელად მდგომარე. ასეთს პირამიდას ვერ ვხედავთ დუშეთის მაზრაში... სულ უკანასკნელ დრომდების აქ არ იყო ამ პირამიდის საფუძველი თემები და სხვა მსგავსი ერთეულები.

აბა რა უნდა უშველოს მაზრას გამგეობამ—ორი თუ სამი კაცის ანაბარა მიტოვებულმა.

მთავრობას ჰყონია, რაკი მაზრაში ერობა შემოლებული, ჩემი საგანგებო შეშველება აღარ დასჭირდებათ და ერობის გამგეობას კიდევ მთავრობისკენ უჭირავს თვალი: თუ მომხედავს, ისევ მთავრობა, თორემ ცნა არსავიდან არ შექნებათ.

ვეუყრებ მაზრას და ასე მონია, ეს-ეს არის ესლა გამოუცხია იგი შემოქმედსა მეთქი. საჭიროა ყველაფრის ახლად დაწყება. მაზრაში თითებზე ჩამოიცვლება ადგილობრივი განათლებული და ამიტომ თავდაპირველად გამოსანახია ხალხი, ხალხი და ისევ ხალხი მცოდნე და მომზადებული... მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ადმინისტრაციის მოწყობა... სკოლების აშენება, საავამთყოფოების გამრავლება... სამეურნეო მუშაობის გაჩალება... თემების ფეხზე დაყენება...

სხვა მაზრებში უკვე ჩადგნენ თავის კალაპოტში თემები და მით გააჩალეს ნამდვილი ერობის მუშაობა. დუშეთის მაზრაში კი, მართალია, თემების ხმისნების არჩევნები მოხდა, მაგრამ მათ გამგეობისთვის წევრები დიდან არსად სხანდნენ... და დღესაც ბევრგან აკლია. არც საჭირო თანხა აქვთ, რომ ვიდრე მოაწყობდნენ გადასახადების მოკრევის ხელი მოენაცვლათ. ასეთსავე მდგომარეობაშია სკოლები.

ასე და ამნაბირად: გაღმორაზულია თემის კარები.

აბლაბუდის ქსელით დაბანდებულია სკოლის ოთახები... არც სხვა დარების კარებებია გულლია და მხიარული.

უიღბლოს ქვა აღმართში მოეწიაო და დუშეთის მაზრას სხვა უბედურებასთან ერთად შიშილიც აეკვითა. სხვანიც ჩივიან შიშილს, მაგრამ ამაზე შეტს საცოდაობაში მყოფ მაზრას სხვაგან ვერ შეხვდებით. მთელი მთიულეთ-ხევი კავკავიდან შემოტანილ სიმინდით ცხოვრობდა. დაიხშოდარიალის კარები და ნასევარი მაზრა შიშილის ანაბარა დარჩა.

„ძნელი ყოფილა შიშილი, გადავგავიწყა სირცევილი“-ი შემომჩივ-

ლეს დამშეულებმა და საშინელი იყო ჩემი მდგომარეობა, რომ სანუგეშო ბევრი არა მეთქმიდარა.

მარტო იმ ცირკე ძალებით, რაც ესლა მასრაშია, მაზრა შორს ვერ წავა. აუცილებლივ საჭიროა თანამშრომელთა მიშველება. ყველა თბილისს აწყ-დება. მისაკალათვებლად. აუცილებლივ უნდა დაიგზავნოს იგინი პროვინ-ციაში. ვისაც საზოგადო მოღვაწეობა სურს ყოვლის უწინარეს მან უნდა მიხედოს ასეთს ჩამორჩენილ კუთხეს...

თუ პროვინცია ჩაკვდა, მაშინ რაც უნდა საღად ფეთქავდეს ცენტრის გული, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩება. ამიტომ პროვინციების ინტე-ლიგენტურ ძალებით უზრუნველყოფა ჩენი მთავრობის დიდ საზრუნვად უნდა გახდეს.

მაზრა რომ ნივთიერად მაინც მშიდარი იყოს, კაი-კაი ჯამაგირებით მაინც გადმოიგიბირიებდით ხალხს, როგორც იქცევიან ძარღვ-მაგარი ერო-ბან; მაგრამ სხვა რაში გვქონია ბედი, რომ აქა გვქონდეს... ჩენი მაზრის ფინანსური ავლა დიდება კურდღლელს აეკიდება.

დღემდე მარტო ერთი ანდაზა იყო ცრობილი: ზოგი ჭირი მარგებე-ლიაო, ამიერიდან მინდა შევაბრუნო იყი და ვთქვა: ზოგი სიკეთე მავნებელია.

საერთოდ დიდი სიქოთე ერთობათა ფართო თავისუფლება, ყველა ფუნქციების მისიამი გადაცემა, მაგრამ კერძოდ დეშეტისთანა მაზრისთვის მას ზარალის მეტი არა მოაქცეს-რა. რა ნუგეში უნდა იყოს მისთვის ეს ფარ-თო ასპარეზი და ავტონომია, როცა სულიან-ხორციანად მწირია და საცო-დავი. მთავრობას რომ გული არ დაეკრძინებონა და მოლად ერობას არ დანდობოდა,—თვით უეჭველია კარგა დახმარებას გაუწევდა. თუ სხვა მაზ-რებისთვის ზედმეტია ოპეკა—აე აუცილებელია. სად არის და სად არა მან უეჭველად უნდა აღმოაჩინოს ყველა ღონისძიებანი და დაეხმაროს. არა კიარა მარტო ერობის სკოლები. მან თავისი უნდა დახსნას, თვით უნდა გამონახოს თანამშრომელი, თვით იზრუნოს მომარავების საქმის მოსაგვა-რებლად. სესხი ხომ უეჭველად უნდა. მისცეს.

რა ხანია ერობის გამეობა თხოულობს ხუთ შილიონს და ვერ იქნა გამგეობა ვერ აუკიდა ათას ფორმალურ მხარეთა შესრულებების. როცა სა-კიონი ეხება მაზრის ყოფნა არ ყოფნას—მაშინ მთელი თვეობით საქმის გაჭიანურება მომაკვდინებელი ციფვები.

კიდევ იმიტომა გვმართებს განსაკუთრებული ჟურნალება დუშეთის მაზრისადმი, რომ იგი სტრატეგიული ადგილია. ესაა კარები რეაქციისა და ანარქიისა. თუ გვინდა, რომ იგი მტკითედ იყოს დაცული, ხალხი უნდა გყვანდეს შეგნებული და მადლიერი.

მიუხედავათ დიდი უყურადღებობისა, დარიალის კარები ჯერ-ჯერობით ჩაეტილია ერთგულობის და სიყარულის კლიტით. დარიალს იცავენ დუ-შეთის მაზრის გლეხებისაგან შემდგარი მამაცი გვარდია და ყაზბეგის კლ-ლეებსავით მაგარი, ძალ-გულოვანი მოქევეები...

ასეთია თავ-გამოდება იმ ხალხისა, რომელიც სიბნელესა და შიმშილ-ში გვყავს ჩაფლული, მაგრამ, უწინამც კი დღე გაუქრება ჩვენს მტერს, და რომ კიდევ დიდხანს გასტანოს ასეთ მღვმარეობამ—ხალხს ილაჯი გაუწ-ყდება აღრინდებულად დაპატრონებიან თავზე ხელ-აღებული ვიგინდარები და აიყოლებდენ ჩვენს საწინააღმდეგოთ.

„როგორც დამიკრავ ფანდურსა, ისე მე დავიროვდებიო“ ნათქვამია ბრძენი ხალხის მიერ. მართლაც როგორც ჩვენ ვინჩუნებთ მათზე ისეთსავე გრძნობით გვიპასუხებენ. დუშეთის მაზრაშიაც ისე უნდა გაჩალდეს ერობის შემოქმედებითი მუშაობა როგორც სხვაგან. უნდა ერთხელ და სამუდამო მოელოს ბოლო თბლობას. დუშეთის მაზრის ერობაც უნდა ჩაებას სხვა ერობათა მეტოქეობაში.

ერთხელ სალტიკოვ-შედრინი—მოშხამული საზოგადოების გულ-გრი-ლობით—გამწარებული კითხულობია: მყითხველო, საღა ხარ?... სამწუხა-როდ ჩვენი ცხოვრება ჯერ ისეა გაჯანჯლებული, რომ კაცს უხდება მსგაცი კითხვა გაიმეოროს:

შემწენელო, საღა ხარ, გამომეხმაურე!

ვჭერ ამას არა იმიტომ, რომ ეს კითხვა მარტო ქაღალდზე დარჩეს, არა! იგი უნდა მოსმენილ იქნება ყველა მათგან, ვისაც მართებს და შესწევთ კიდეც შველის თავი. მათი პასუხი უნდა იყოს დაუკონებლივი მსურვალე მონაწილეობა დუშეთის მაზრის გაჯანმრთელება-აღდგენაში.

დ. თურდოსპირელი.

ქრისტე.

მთავრობაში.

2.000.000 ქანეთი დუშეთის ერობისათვის. შინაგან საქმეთა სამი-ნისტრომ შემდევი შინაარსის მოხსენება წარუდინა მთავრობას.

„დუშეთის მაზრა გასულ წელს ანარქიის გამო საგრძნობლად დაზა-რალდა, ამის გამო მიწების დიდი ნაწილი დაუთხავი დარჩა და მცირე მოსავალმა შცხოვრები უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო. ერობის გამგეობა ცდილობს საქმის მოწესრიგებას, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერს ვერ აკეთებს. ამ ბოლო დროს მაზრაში კავკავიდან ლტოლებილების და მოხალი-სეთა ჯარის ნაწილების გამოვლამ უფრო გააუარესა.

დუშეთის მაზრას შეტი ყურადღება ესაკიროება, რადგან, ზემოდ აღ-ნიშნულის გარდა, მაზრა კულტურულად დაქვეითებულია და რესპუბლიკი-სათვის მავნებელ აგიტაციას მეტი გასავალი აქვს. თუ მთავრობა ერობის საშუალებას მიაჰყებს მოაწესრიგოს მეურნეობა—იმ შემთხვევაში მაზრა მო-

ღონიერდება და საქართველოს საჭინააღმდეგო აგიტაციასაც გასავალი არ ექნება.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, მე საჭიროდ მიმაჩნია საჩქაროდ მიეცეს დუშეთის სამაზრო ერობას 2.000.000 მან. სესხად ერთი წლის ვა-დით ისე, როგორც მიეცა ამდენივე ახალციხის სამაზრო ერობას“.

დაპარაკება რაჭის ერობას. შინაგან საქმ. მინ. შემდეგი მოხსენება წა-რუდინა მთავრობას რაჭის ერობის შუამდგომლობის შესახებ:

„რაჭის სამაზრო ერობის გამგეობა შუამდგომლობის ჩემს წინაშე, რათა მთავრობამ წყალდიდობის მიერ წალებულ ხილების გასაკეთებლად მისცეს დამარცხების სახით ერთი მილიონი მანეთი და საჭირო მასალა და იარა-ლები.

1919 წელს რაჭის მაზრაში წყალდიდობის დროს წალებულ იქნა ხი-დები და გაფუჭებული გზები. ნაპირებიდან გაღმოვარდნილმა მდინარეებმა წალეკეს ბევრ ალაგას ნათესები. ჭიორის ჭაღა გაანადგურა რიონმა, მდ. ლუხუნამ მარჯვენა მხარეზე მდებარე ყანები წალეკა. ამგვარად ხალხს დიდი ზარალი მოუკიდა და მდინარეების მიერ წალებულ ხილების და გზების გა-საკეთებელი თავი არა აქვს. რაჭის მაზრა ისედაც, ცუდი გზების გამო, გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო და სესნებულ წყალდიდობის შემდეგ ხომ მაზრაში მიმოსელა მეტად გაძნელდა.

მცხოვრებთ არა აქვთ საშუალება გარდა ფიზიკური შრომისა, რაიმე გაიღონ გზების და სიდენების გასაკეთებლად. სამაზრო ერობა უძლურია და ამატომ მთავრობამ უნდა მიაქციოს ცურალება ზემოაღნიშნულ მოვლენას.

ერობა თხოულობს ერთ მილიონ მანეთს დახმარებას და გარდა ამისა საჭირო მასალას. წარმოდგენილ სიით ერობას უფლება უნდა მიეცეს ხეების მოჭრისა ნაჩვენებ ტყეებში. აგრეთვე ითხოვს იარალს და დინა-შიტსაც.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს მე საჭიროდ მიმაჩნია მიეცეს რა-ჭის სამაზრო ერობას ერთი მილიონი მანეთი ხაზინიდან დახმარების სა-ხით, აგრეთვე ნება მიეცეს მას სიაში მოხსენებული ხის მასალა გაიტანას სახელმწიფო ტყეებიდან უფასოდ და საჭირო იარალები რამდენიც შესა-ძლებელი იქნება მთავრობამ ათხოვოს ერობას იმ პირობით, რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ ისევ უკან დაუპრუნოს“.

ჩაჭართა თვითმმართველობაში,

ქალაქთა კავშირში.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის ხელმისა. 25 პრილს შესდგა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომა. სხდომები გავრძელდა 29

აპრილამდის. პირველ საშ სხლომაზე მოსსენილ იქნა: 1) სატეხნიკო განყოფილების გამგის ინჟ. ა. ვ. ბულგაკოვის მოხსენება შესახებ აღნიშნულ განყოფილების მოღვაწეობისა, მოხსენება მოწონებულ იქმნა. 2) უფროსმა ბურცელტერმა გააკეთა მოხსენება 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. 3) საკომერციო განყოფილების გამგემ ნ. ი. ფალილევმა გააცნო აღნიშნულ განყოფილების და სამეურნეო განყოფილების მდვომარეობა. განხილულ იქნა აგრძელებულ სხვა-და-სხვა პატარა საკითხები.

28 აპრილის სტლომაზა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ აღნიშნა, რომ დღიურ წესრიგში შეტანილ უნდა იქნეს საკითხი მთავრობის მიერ ქალაქებისათვის. სასურსათო ოპერაციებისთვის სესხის მიცემის შესახებ, რადგანაც ეს საკითხი ირჩევა თათბირში, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა მოიწვია, და იქ ეს გადაწყვდა დადგებითად. საკითხი მიღებულ იქნა და კამათის შემდეგ დაადგინეს: 1) დაუყოვნებლივ აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა გადაიცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 50 მილიონი მანეთი ქალაქებისთვის სესხათ მისაცემათ სასურსათო ოპერაციებისათვის და მიმდინარე ხარჯებისთვის. თანახმად მთავარ კომიტეტის დასკვნისა ერთი მილიონი მანეთი მიეცეს სესხათ პატარა ქალაქებს და სამ-სამი მილიონი მანეთი ქქ. ფოთს და სოსულს, 9 მილიონი ქუთაისს და 14 მილიონი თბილის 2) იმის გამო, რომ მომარაგების სამინისტროს არ შესწევს ძალა მიაწოდოს ყველა ქალაქებს სურსათი, აღიძრას შუამდგომლობა, რათა ნება დაერთოს ქალაქებს, რომ თვით აწარმოონ სურსათის მომარაგება. დადგნილ იქნა აგრძელება: კირკულიარულად მიეცეს წინადადება ქალაქებს დაჩქარებით გადიხადონ საწევრო ფული და აუცილებლივ შეიტანონ ეს ხარჯთ-აღრიცხვაში; მათ უნდა გაეგზავნოს გაფრთხილება, რომ თუ მათ მიერ ეს არ იქნა შესრულებული, იმ შემთხვევაში ისენი ჩაითვლებიან კავშირიდან ამორიცულათ და ჩამორითმევათ ყველა უპირატესობა, რომლითაც სარგებლობენ კავშირის წევრები.

ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევის შესახებ დადგენილ იქნა: მიენდოს აღმასრულებელ ბიუროს მოიწვიოს ყრილობა შეძლებისა-მებრ მაისის დამლევამდე, მიენდოს აგრძელება მას შეიმუშაოს ყრილობის დღის წესრიგი, ამასთანავე აღინიშნოს ეხლავ შემდევი პუნქტები: განყოფილებების საანგარიშო მოხსენება, 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა და არჩევნები.

